ეროვნული ბიბლიოთეკა
8~~44~~/2 №13 002
ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველით ახალ წელიწადს გილოცავთ, მეგობრებო!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 6 (1023) | შაბათი, 14 იანვარი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

სახელმწიფოს მეთაურმა ავანტიურა უწოდა

ეგრეთ წოდებული „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ ლიდერების მიერ განხორციელებულ აქციას

13 იანვარს, ეგრეთ წოდებული „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ შეიარაღებული ჯგუფი თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით, გაემგზავრა დასავლეთ საქართველოსაკენ, თითქოსდა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიზნით. მათი განცხადებით, ეს აქცია, რომელიც რუსეთის ინტერესებს შეესაბამება, შეთანხმებულია რუსეთის სათანადო ორგანოებთან.

როგორც ცნობილია, ეგრეთ წოდებული „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკანონოდ არის გამოცხადებული და ექვემდებარება დაშლას.

უშიშროების სამსახურის ცნობით, 20-მდე „იკარუსი“, რომლებითაც შეიარაღებული ჯგუფი გაემგზავრა დასავლეთ საქართველოსაკენ, აქციის ორგანიზატორების მიერ იარაღის ძალით არის წართმეული.

13 იანვარს, დილით, თბილისის პოლიციის უფროსი გენერალი ლემურ მიქაძე შეხვდა თ. კიტოვანსა და თ. სიგუას, რათა განემარტა მათ მიერ დაგეგმილი აქციის უკანონობა. კიტოვანმა მას შეახვედრა ვინმე ფისტუნი, რომელიც, როგორც მან თავისი თავი წარმოადგინა, რუსეთის პრეზიდენტის პირადი საგანგებო წარმომადგენელია და აქვს პრეზიდენტის დავალება. მათ განაცხადეს, რომ აქცია შეთანხმებულია გალში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელთან ტიმონენკოსთან და რომ, ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით, ეს რუსეთის ინტერესებს შეესაბამება.

ამ საკითხის გასარკვევად, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ბატონმა კრასავჩენკომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს პროვოკაციაა, ასეთი პიროვნება არ არსებობს და ასეთი უფლებამოსილებაც არავის მიუღია.

ასევე კატეგორიულად უარყო ზემოთ მოყვანილი ფაქტები რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა ვასილ იაკუშევმა. როგორც მან თქვა, გალში განლაგებული ბატალიონის უფროსთან ტიმონენკოსთან არავითარი მოლაპარაკება არ გამართულა. შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში კი, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს ეს, იგი ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედებს.

რამდენჯერმე დაუკავშირდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე. პაველ გრაჩოვმა და გენერალური შტაბის უფროსმა კოლესნიკოვმა აქციას, რომელიც მათი სიტყვით, ეწინააღმდეგება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს, პროვოკაცია უწოდეს და განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ ამგვარ ქმედებას.

13 იანვარს ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან საგანგებოდ შეიკრიბნენ ოთარ ფაცაცია, ვახტანგ გოგუაძე, ჯაბა იოსელიანი, ავთანდილ მარგიანი, ნიკოლოზ ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ჯამლეტ ბაბილაშვილი, იგორ გიორგაძე, ვარდიკო ნადიბაიძე, ჯემალ მიქელაძე, ავთანდილ იოსელიანი, არჩილ გოგელია, ჯემალ ჭუმბურიძე, თამაზ დუმბაძე, რამაზ საყვარელიძე, ნუგზარ საჯაია, რომლებმაც განიხილეს შექმნილი ვითარება.

იმავე დღეს სახელმწიფოს მეთაური შეხვდა ჟურნალისტებს.

იმას, რაც დღეს მოხდა, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — ხელმძღვანელობს ბატონი კიტოვანი, რომელსაც ამგვარ წამოწყებათა და ავანტიურათა დიდი გამოცდილება აქვს, და ბატონი სიგუა. მათ ჰგონიათ, ჩავლენ დასავლეთ საქართველოში და გზად ხალხსაც შეაგროვებენ, ისინი არწმუნებენ ხალხს, ყველაფერი ეს რუსეთის სარდლობასთან შეთანხმებულიაო. მათ თან ახლავს რუსი ეროვნების მოქალაქე, ვინმე ფისტუნი — აგენტი და პროვოკატორი, რომელიც თავს რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლად ასაღებს და ამბობს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები მხარს დაუჭერენ მათ შესვლას აფხაზეთში, მე და ნადიბაიძეს დღეს გვქონდა საუბარი რუსეთის თავდაცვის მინისტრთან პაველ გრაჩოვთან, გენერალური შტაბის უფროსთან და სხვა მაღალი რანგის სამხედროებთან. დღეს მე თვითონ ვესაუბრე საქართველოში რუსეთის ჯარების ჯგუფის გენერალური შტაბის უფროსს, მათი საერთო განცხადების თანახმად, ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა და ამ თემაზე სამხედროებთან არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა. რუსეთის ის ძალები, რომლებიც ენგურის ორივე მხარეს არიან განლაგებული, მხოლოდ დავალებულ ფუნქციას შეასრულებენ. ასე რომ, ეს ყველაფერი მხოლოდ პროვოკაციაა.

სხვათა შორის, გენერალურმა პროკურორმა და იუსტიციის მინისტრმა მომახსენეს, რომ კიტოვანის მიერ დაარსებული ორგანიზაცია, ანუ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“, სასამართლომ აკრძალა. დღეს გამოვაცხადე, რომ ეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებაა, და იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ მათ აფხაზეთში არავითარი შესვლა არ აინტერესებთ, რადგან იციან, რომ ეს შეუძლებელია. თუ შესვლაზეა ლაპარაკი, ეს მხოლოდ სახელმწიფო დონეზე უნდა მოხდეს. ყოველივე ეს ამ ფორმირების ორივე ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი ქმედება და იმის მცდელობაა, რომ ახალი ომის წუმპეში ჩაითრიონ საქართველო. მათ იმედი აქვთ, რომ გზადაგზა ხალხს შეაგროვებენ, დასავლეთ საქართველოში დაბანაკდებიან, იქვე მოძებნიან თანამზრახველებს, კვლავ დაიწყებენ ძარცვასა და ბანდიტობას საკვებისა და ტანსაცმლის მოსაპოვებლად.

ჩემი აზრით, სიგუასა და კიტოვანის მოქმედება მხოლოდ აფხაზ სეპარატისტთა წისქვილზე ასხამს წყალს და ეს იმ პროცესს ჩასაშლელად არის გამიზნული, რომლის საიმედო დასაწყისიც გამოჩნდა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით. ისინი ვერ ეგუებიან იმ აზრს, რომ აფხაზეთის პრობლემა შეიძლება მოაგვაროს კანონიერმა ხელისუფლებამ. კვლავ ვიმეორებ, თუ აფხაზეთში რაიმე ღონისძიება უნდა განხორციელდეს, იქნება ეს მშვიდობიანი თუ სამხედრო გზა, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო დონეზე გადაწყდება.

მათ ამ დილით შევუთვალე, რომ ამგვარი მოქმედება უკანონობაა, თუმცა, გუშინ საღამოს გავრცელებული ხმები, თითქოს აქცია სახელმწიფოს მეთაურთან ყოფილიყოს შეთანხმებული, ეს აბსოლუტური სიცრუეა.

რა თქმა უნდა, უკანონო მოქმედების წინააღმდეგ მიღებული იქნება ის ზომები, რაც კანონიერმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს. ამავე დროს, ეს პროვოკაცია შეიძლება ძალზე ძვირად დაუჯდეს აფხაზეთში ჯერ კიდევ შემორჩენილ ქართულ მოსახლეობას. ბუნებრივია, სეპარატისტები თავიანთი მხრივ, მიიღებენ ზომებს და თუკი იქ ვინმე დარჩა, მათ დაატყდებათ თავს მთელი უბედურება.

მინდა განვაცხადო: ისმინონ აფხაზეთშიც, რუსეთშიც და ყველგან — ეს არავითარ კავშირში არ არის ხელისუფლებასთან, ეს წმინდა წყლის ავანტიურაა, გამიზნული იმისათვის, რომ ჩაშალონ აფხაზეთში დაბრუნების პროცესი.

მე უკვე გავეცი ბრძანება, რომ ყველა სამხედრო ფორმირება თავის ადგილზე იყოს, ყველამ თავისი საქმე შეასრულოს, ამავე დროს, გავეცი ბრძანება, რომ პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, ტელევიზია და სხვა საარსებო მნიშვნელობის ობიექტები ისე იყოს დაცული, რომ ავანტიურისტთა ყოველგვარი მოქმედება გამოირიცხოს.

დიდი პანიკის საბაბი არ არსებობს, დარწმუნებული ვარ, ბრძანება შესრულდება და ისინი განიარაღებული იქნებიან. და, საერთოდ, არარეგისტრირებული და არაკანონიერი ფორმირებების თარეშს საქართველოში, ბოლო უნდა მოეღოს. ასეთი დავალება მიეცათ თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

როგორც ცნობილი გახდა, რესპუბლიკის პროკურატურამ ამ ფაქტთან დაკავშირებით, უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

ინფორმაცია 13 იანვრის 17 საათისათვის

აფხაზეთისაკენ დღეს მიმავალი უკანონო შეიარაღებული ფორმირების კოლონიდან გორთან და ოსიაურთან დააკავეს ექვსი „იკარუსის“ ტიპისა და ორი „რაფის“ ტიპის ავტობუსი, განიარაღებულია დაახლოებით 150 კაცი. წინააღმდეგობის გაწევის დროს დაიჭრა შეიარაღებული ფორმირების 5 წევრი, აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება.

უკრაინის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის შესახებ

„უდიდესი სიამოვნება მომანიჭა ედუარდ შევარდნაძესთან ორდღიანმა ურთიერთობამ. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, შევთანხმებულიყავით ამჟამად არსებულ როგორც საშინაო, ისე საგარეო უმწვავეს პრობლემებზე, რომლებიც ერთნაირად აღელვებს უკრაინასა და საქართველოს“, — განუცხადა უკრაინის პრეზიდენტმა უკრაინფორმის კორესპონდენტს.

რით ვუშველოთ საქართველოს?

ხელი-ხელს, გული-გულს, მხარი-მხარს!

— „უწინარესად მადლობა მინდა მოგახსენოთ თქვენი კავშირის უკეთილშობილესი მიზნების, გამოკვეთილი მტკიცე პოზიციისა და თქვენს მიერ განსახილველად დაყენებული საჭირო და მართებული საკითხების გადაწყვეტისას გამოჩენილი უკომპრომისობისთვის, რომელიც თუნდაც მხოლოდ აბაშასა და სენაკში ამომრჩევლებთან და ლტოლვილებთან შეხვედრიდან დაბრუნებულებმა გამოავლინეთ პარლამენტის სხდომაზე, რომლის მსვლელობასაც რადიოთი ვუსმენდით.

და სწორედ ამის გამო გადავწყვიტე აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენელთა მეშვეობით მიმეღო მონაწილეობა თქვენი სხდომის მუშაობაში და უშუალოდ თქვენთვის გამეცნო ჩემი სათქმელი და ლტოლვილთა პოზიცია, რომლებიც თქვენთან მოსვლამდე რესპუბლიკური მასშტაბის რამდენიმე ხელმძღვანელს გავუზიარე, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი არ მიწყენენ, თქვენი ქმედითი მხარდაჭერის იმედი უფრო მაქვს“...

ასე დაიწყო თავისი გამოსვლა პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ ორშაბათს გამართულ სხდომაზე ოჩამჩირის რაიონის № 2 ჩაის ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, წყალტუბოს ზონის ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიზო გეგეჭკორმა, ადამიანმა, რომელიც აფხაზეთში ბოლო წუთებამდე ებრძოდა სეპარატისტებს.

ბატონ გიზოსა და „თანადგომის“ იმდღევანდელი სხდომის რამდენიმე მონაწილის ნაუბრის ცალკეულ ფრაგმენტებს ქვემოთ შემოგთავაზებთ. მანამდე კი გვსურს გაგაცნოთ სრული შემადგენლობა ამ კავშირისა, რომელიც სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონების წარმომადგენელმა 18 დეპუტატმა შარშან, წმინდა გიორგის დღეს, აბაშაში დააფუძნა.

12 იანვრის მდგომარეობით „თანადგომაში“ გაწევრიანებული არიან საქართველოს პარლამენტის შემდეგი წევრები:

აბალაკი გივი (გორი), **აბესაძე ინგუშა** (წყალტუბო), **ადამია ჯემალ** (დემოკრატიული პარტია, სენაკი), **ალექსანიანი ფერდინანდ** (ახალქალაქი), **აჯიაშვილი ჯემალ** (ბლოკი „ერთობა“), **ბარამიძე მალხაზ** (დემოკრატიული პარტია, ქ. სოხუმი), **ბჟაჟავა გია** (მწვანეები, ქ. სოხუმი), **ბენიძე გურამ** (ბაღდათი), **ბოჩორიძე ჯემალ** (ზესტაფონი), **გულუა ბაკურ** (ფოთი), **ენუქიძე ზაზა** (საჩხერე), **ვარდოსანიძე ლევან** (ტყიბული), **ზუხბაია ოთარ** (ბლოკი „მშვიდობა“), **თავართქილაძე ანზორ** (ჩოხატაური), **თირქია ლელი** (ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია), **კალანდაძე თენგიზ** (აბაშა), **კალანდია გენო** (ბლოკი „ერთობა“, ქ. სოხუმი), **კოხია ოთარ** (სენაკი), **კოხრეიძე ნოდარ** (სამტრედია), **ლობჟანიძე გივი** (ონი), **ლომინაძე გივი** („ქარტია-91“, ქ. სოხუმი), **მარშანია ადა** (ბლოკი— „11 ოქტომბერი“, ქ. სოხუმი), **ნადარაია ნუგზარ** (ხობი), **ნადარეიშვილი თამაზ** (სოხუმი), **საჯაია ჯემალ** (სოხუმის რ-ნი), **სნხჩიანი ჟორა** (ნინოწმინდა), **ტყებუჩავა ავთანდილ** (ჩხოროწყუ), **ფაჩუაშვილი ბესარიონ** („ქარტია-91“), **ფაცაცია გერმანე** (ტრადიციონალისტთა კავშირი), **ფაცაცია ოთარ** (ზუგდიდი), **ფენდრავა არნოლდ** (ოჩამჩირე), **ქოლბაია ვახტანგ** (ბლოკი „მშვიდობა“), **შელია გურამ** (ტრადიციონალისტთა კავშირი), **შენგელაია ირაკლი** (ბლოკი „11 ოქტომბერი“), **ჩარქსელიანი ანზორ** (მიწათმოქმედთა კავშირი), **ჩიტლოვი დიმიტრი** (წალკა), **ჩხენკელი მიხეილ** (ხონი), **ჯეირანაშვილი ნიაზ** (გურჯაანი), **წითლანაძე გიორგი** (ასპინძა), **წოწონავა ანზორ** ((გულრიფში), **ხვედელიძე გივი** (ხაშური), **ჯანტურია ვალერი** (წალენჯიხა), **ჯელიძე ივერი** (გარდაბანი).

უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერჯერობით 43 პარლამენტარს გარდა კავშირში გაერთიანებულია ბიზნესმენთა, კერძო მეწარმეთა, სამეურნეო ხელმძღვანელთა და აქტივისტთა ფართო წრე, რომელთა საქმიანი თანადგომა ძალზე აუცილებელია არა მარტო აფხაზეთისა და სამეგრელოს, არამედ მთელი საქართველოს აღორძინება-კეთილდღეობისთვის.

როგორც ვნახეთ, დაარსებიდან სულ რაღაც თვენახევრის მანძილზე კავშირის შემადგენლობა ლამის ერთნახევარჯერ გაიზარდა და მასში ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენელი დეპუტატია გაერთიანებული. და ეს იმიტომ, რომ „თანადგომის“ სამოქმედო პროგრამა და მიზნები ქვეყნის მხოლოდ რომელიმე ცალკე აღებული მხარის კი არა, სრულიად საქართველოს პრობლემატიკასა და სატკივარს მოიცავს. სწორედ ამ კუთხითა და გაგებით ეკიდება იგი ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლას, განსახილველად დაყენებასა და გადაწყვეტასაც.

საკმარისია ადამიანი გაეცნოს კავშირის სხდომების ოქმებს, განსახილველი საკითხების თემატიკას, დააკვირდეს „თანადგომის“ წევრთა გამოსვლებს პარლამენტის სხდომებზე და დარწმუნდება, რომ ისინი ნებისმიერ მნიშვნელოვან პრობლემას მხოლოდ სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან უდგებიან, ერთნაირად შემართულნი და უკომპრომისონი არიან მაშინ, როდესაც მსჯელობა ეხება, ვთქვათ, ლტოლვილებისა თუ სამეგრელოს პრობლემებს, და მაშინაც, როდესაც დღის წესრიგში დგას ამა თუ იმ სამინისტროში რეფორმების მიმდინარეობა ან საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა.

საქმისადმი მათი სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგია, რომ ყველა ძირითადი და მტკივნეული საკითხი, რომლებიც დეკემბრის მეორე ნახევარში სენაკში გამართულ კავშირის გასვლით სხდომაზე, სამეგრელოში განთავსებულ ლტოლვილთა კომიტეტების თავმჯდომარეებთან, რაიონების გამგებლებთან და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დაისვა, „თანადგომის“ უკომპრომისო პოზიციისა და მტკიცე არგუმენტაციის წყალობით ოპერატიულად დადებითად გადაწყდა.

მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც წლევანდელი ბიუჯეტის გასავლის ნაწილში იმ 900 მილიარდი კუპონის გათვალისწინება, რომელიც შარშანდელ მეოთხე კვარტალში უნდა მიეღოთ ლტოლვილებს და არ მიუღიათ. 400 მილიარდი სამისოდ უკვე გადარიცხულია, 500 ამ დღეებში გადაირიცხება. უწინარესად სწორედ „თანადგომის“ წევრთა დამსახურებაა, რომ წლევანდელ პირველ კვარტალში ჩვენი მეჩაიეები ეტაპობრივად და მთლიანად მიიღებენ თავიანთი შარშანდელი შრომის საზღაურს, რომლის მიღების იმედი მათ თითქმის გადაწურული ჰქონდათ. რეგიონული ბიუჯეტების სასარგებლოდ სათანადო ცვლილებები მოხდა რესპუბლიკურ ბიუჯეტში. „თანადგომის“ მტკიცე პოზიციის წყალობით სახელმწიფოს გადაეცა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხარჯებისთვის გათვალისწინებული 113,013 მილიარდიდან ჩამოჭრილი 100 მილიარდი კუპონი (სხვა ანალოგიურ სამსახურებს ამის მეათედი და კიდევ უფრო ნაკლები თანხა ჰქონდათ გამოყოფილი) და სხვა...

მოკლედ, „თანადგომა“ იღვწის, იბრძვის საერთო მიზნის მიღწევისთვის. უახლოეს დღეებში გათვალისწინებული აქვთ გასვლითი სხდომების ჩატარება ზუგდიდსა და ფოთში, რასაც, იმედია, ასევე სასიკეთო შედეგები მოჰყვება. მაგრამ თავისი აშკარად კეთილშობილური და უაღრესად საჭირო მიზანდასახულობების შესასრულებლად „თანადგომასაც“ სჭირდება თანადგომა, მათ შორის მატერიალურიც. ამიტომაც მისი წევრები მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ ბატონებს **ჯემალ გორგოძესა** (ზესტაფონი) და **გურამ გეწაძეს** (ბაღდათი), **რომან მელიას** (ქ. ფოთის მერი), **მიხეილ ზამბახიძეს**, **ბონდო ხობელავას**, (ქალაქი თბილისი). თბილისის ფირმა **„ინტერს“** (პრეზიდენტი — **კონსტანტინე ჩხობაძე**), ფირმა **„აზამა-95“** (პრეზიდენტი — **რობერტ რატიანი**), კომერციული ბანკების „კრედიტისა“ და „დიას“ ხელმძღვანელებს, რომლებმაც უკვე გადაურიცხეს თანხები „თანადგომის“ ფონდს. იმათ კი, ვისაც ანალოგიური სურვილი აქვს, ან მომავალში გადაწყვეტს მატერიალურად დაეხმაროს „თანადგომას“, ვაცნობებთ ამ ფონდის საანგარიშსწორებო რეკვიზიტებს: სენაკის კომერციული აგრომრეწვბანკი. — № 70088, მფო 220103450. ანგარიშის ნომერი რუსული რუბლისთვის — 01307027, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისთვის — 00107028; ზუგდიდის ეროვნული ბანკი — №400167250; საქართველოს ეროვნული ბანკი — რუსული რუბლისთვის ანგარიშის ნომერი 013165966, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისთვის — 001165965.

ახლა კი, დაპირებისამებრ, გთავაზობთ „თანადგომის“ ბოლო სხდომის რამდენიმე მონაწილის ნაუბრის ცალკეულ ფრაგმენტებს.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საბერძნეთის დელეგაცია

12 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საბერძნეთის დელეგაცია ეკონომიკის მინისტრის მოადგილის იოანის ანთროპოლოუსის ხელმძღვანელობით.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ეკონომიკური სამსახურის უფროსი პეტრე ბაქრაძე.

ბატონმა ანთროპოლოუსმა აღნიშნა, რომ საქართველოსთან საბერძნეთს განსაკუთრებული მეგობრობა და ისტორიული კავშირ-ურთიერთობა აქვს. დელეგაციის მიზანია გარდა ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობისა, სხვა სფეროებიც მოიცვან.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის ვიზიტის შემდეგ, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პაპანდრეუს დავალებით უკვე შეიქმნა კომისია, რომელიც განიხილავს საქართველოსათვის კრედიტების გამოყოფის შესაძლებლობას.

საბერძნეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ სახელმწიფოს მეთაურს გადასცა პრემიერ-მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის გულითადი მოკითხვა.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა სტუმრებს და გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ინტენსიურად ვითარდება. როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, სასურველი იქნება, ორ ქვეყანას შორის დადებულ ხელშეკრულებებს პრაქტიკულად სწრაფად შეესხას ხორცი, რის პასუხადაც სტუმარმა განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ძალისხმევით საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი კლიმატი შემდგომი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

ლაპარაკობენ საქართველოს პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ წევრები:

გიზო გეგეჭკორი,

წყალტუბოს ზონის ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე

როდის დაგვადგება საშველი?



ადვილი შესაძლებელია, ჩემი სათქმელის პირველი ნაწილი ბევრმა უმადურობამიც ჩამოგვართვას მეც და, ჩემი სახით, ზოგადად აფხაზეთიდან ლტოლვილებსაც — თვალდაც გაჭირვებული მთელი საქართველო ყოველნაირად ეხმარება და ისინი კი მაინც უკმაყოფილონი არიანო. მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, კერძოდ კი, აი, რა:

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მთავრობაში მომზადებულია გადაწყვეტილების პროექტი, რომლის მიხედვითაც 1 იანვრიდან თითოეულ ლტოლვილს ყოველთვის ბოლოს მიეცემა 3 მილიონი კუპონი, სახელმწიფო მოხელეები კი არაფერს აკეთებენ. რჩება მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც პერიოდულად შემოდის.

ვიცით, რომ ქვეყანას ამჟამად ძალიან უჭირს, მაგრამ ჩვენ, კერძოდ, წყალტუბოში თავმოყრილმა 12 ათასზე მეტმა ლტოლვილმა, რომელთაგან 8700 ადამიანი ორგანიზებულად არის განსახლებული, რა ვქნათ? სამსახური ხომ ჩვენთვის არ არის და არც შემოსავლის სხვა რამ წყარო?

თანაც ეს 3 მილიონი კუპონი, რომლის რეგულარულად მიღების მყარი გარანტია არ არსებობს, თვეში ნორმირებული პურის საყიდლადაც რომ არ კმარა? რა ვქნათ, რით ვიარსებოთ, ჰაერითღა ვისულდგმულოთ?

ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია გამოინახოს იმის საშუალება, რომ ლტოლვილებმა უფასოდ მიიღონ ნორმირებული პური და ეს დაპირებული 3 მილიონი კუპონიც, რაც, დამეთანხმებით, მინიმალურადაც არ კმარა საარსებო პირობების დაკმაყოფილებისთვის, მაგრამ რაკი სახელმწიფოს ამჟერად უჭირს, ჩვენც არა გვაქვს მეტის პრეტენზია. (**„თანადგომის“ მოწადინებითა და მოთხოვნით, სახელმწიფოს მეთაურის პირადი მხარდაჭერით პარლამენტის ბოლო სხდომამ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა — რედ.**).

ახლა მეორე და უმთავრესი საკითხი: ლტოლვილთა შეჭირვებულ ყოფა-ცხოვრებაზე ლაპარაკი საჭიროდ არ მიმაჩნია. ვიტანდით და გარკვეული ხნით კვლავაც ავიტანთ ნებისმიერ სიდუხჭირეს თითოეულ ჩვენგანისთვის უსანუკვარესი მიზნის — მშობლიურ მიწა-წყალზე ღირსეულად დაბრუნების ახდენისთვის, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ბოლოს და ბოლოს აგვიხსნის ვინმე, როდის დადგება ეს ნანატრი ჟამი და რატომ ჭიანურდება ასე ულმერთოდ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი იმის მიუხედავად, რომ თითქმის მთელი მსოფლიო დღეს უკვე აღიარებს ჩვენს სიმართლეს?

არძინბას დაჯგუფება კი კვლავაც ჯიუტად ადგას თავისას, ალბათ, იმ ბავშვის ლოგიკიდან გამომდინარე — გამდის და იმად ვტირიო, რომ ამბობს, ხომ ფაქტია, რომ ზოგჯერ, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მაინც, თვით ყველაზე მწარე სიმართლეც კი სჯობს უტკბეს ტყუილს, ბანგივით რომ გათრობს და გაბრუებს. სანამ ვიაროთ დაბანგულებმა?

ცხონებული ნოდარ დუმბაძის ერთი ფრთიანი ფრაზა მახსენდება ხშირად — ცალმხრივი მარტო მოძრაობაა კარგი. სეპარატისტებისთვის გამუდმებულმა ცალმხრივმა დათმობებმა ჩიხში რომ მოგვაქცია, ყველანი ვხედავთ.

ამიტომ ახლა გამოსავალი ერთია: ნებით არ გვიბრუნებს ჩვენსას? — ძალით წავართვათ. პირადად მე პრაქტიკულად ბოლომდე იარაღით ვიბრძოდი აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. ასევე იყო ლტოლვილთა დიდი უმეტესობაც. ასევე იქნება საჭიროების შემთხვევაშიც. და თუ მაინც დავმარცხდით, ეს უწინარესად ჩვენი გათიშულობისა და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირადი ამბიციების დაყენების ბრალიც გახლდათ.

ნუთუ არ უნდა გამოგვადგეს ეს მწარე გაკვეთილი ცივ შხაპად, რომ საბოლოოდ გამოვფხიზლდეთ? თუ შევეკვრებით და დავირაზმებით, წინ ვერაფერი დაგვიდგება ფსოუდან ლაგოდეხამდე. ახლა ამ მიზნის აღსრულების საუკეთესო ჟამი და ვარიანტია.

ნუ გავუშვებთ ხელიდან ამ ისტორიულ შანსს!

და ბოლოს: ის რწმენა და იმედი, რომლითაც „თანადგომას“ მოვაშურე, თქვენს სხდომაზე გამართულმა საქმიანმა და უკომპრომისო მსჯელობამ, საზედნიეროდ, კიდევ უფრო განმიმტკიცა.

ანზორ თავართქილაძე,

პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ თანათავმჯდომარე:

სიტყვა საქმით ფასობს

დღეს საქართველოში ისეთი ჟამი გვიდგას, შეცდომის დაშვების უფლებას რომ არ გვაძლევს არავის. მით უფრო, ჩვენ, დეპუტატებს, რომლებსაც გვევალება ერთადერთი სწორი გზის გამონახვა, გზისა, სანუკვარ მიზნამდე რომ მიიყვანს ქვეყანას. და ეს არც არის გასაკვირი — დღის წესრიგში ხომ მთელი სიმწვავით დგას საქართველოს ბედი. პარლამენტარებს კი ჩვენი გადაწყვეტილებებით დიდი, განუზომლად დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება მისი ყოფნა-არყოფნისთვის. სიფრთხილითა და ტაქტით უნდა მოვახერხოთ გახლეჩილი საქართველოს საბოლოო გამთლიანება-შერიგება, ქართველთა დარაზმვა ერთი საერთო მიზნის მისაღწევად. ეს სასიცოცხლო აუცილებლობის საკითხია, რადგან ჩვენს გაურკვევლობა-შეუთანხმებლობას მუხანათურად იყენებდნენ და იყენებენ მტრული ძალები, რომლებიც, სამწუხაროდ, ერთობ მოგვიმრავლდნენ შინ თუ გარეთ.

ამიტომაც, სწორედ დღეს არის აუცილებელი, რომ ჩვენი ერის ისტორიული ტრაგიზმის მწარე გაკვეთილები ამჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით განვიხილოთ და გავაანალიზოთ, რათა კონსტრუქციული გზების მიგნებით შევძლოთ წარსულის სუბიექტური შეცდომების თავიდან აცილება. სრული ეროვნული დამოუკიდებლობის ისტორიული შანსის დაკარგვას, რომელიც ამჟამად გვაქვს, მომავალი თაობები არ გვაპატიებენ. ხოლო, როდესაც, ახალი რეალიების გათვალისწინებაზე ვლაპარაკობ, უწინარესად, აფხაზეთისა და სამეგრელოს ტრაგედიებსაც ვგულისხმობ, რაც ჩვენი მწარე დღევანდელობა, ჩვენი პირმოუშრალი იარა და საერთო სატკივარია, ერთობლივი ძალებითა და თანადგომით რომ უნდა მოვიშუშოთ.

ეს კი სრულიად საქართველოს საზრუნავია, რადგან აქსიომური ჭეშმარიტებაა, რომ აღორძინებული და ეკონომიკურად ძლიერი მხარეები მთლიანობაში ერთიანი და მძლავრი საქართველოა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთიანი საქართველოს, რისთვისაც ახლა ვიბრძვით, წინსვლა წარმოუდგენელია ფართო და სრულმასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებლად. ამის გათვალისწინებით საყურადღებოა, რომ „თანადგომა“ თავის ერთ-ერთ უმთავრეს საპროგრამო ამოცანად მიიჩნევს. მხარი დაუჭიროს კურსს, რომელიც ითვალისწინებს აგრარული, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო კომპლექსების, მომსახურების სფეროს დარგების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, სახელმწიფო საწარმოთა და მიწის პრივატიზაციას, საბანკო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისა და სტაბილიზაციის პოლიტიკას, საგადასახადო სისტემის დახვეწის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას, ეროვნული კონვერტირებადი ვალუტის შემოღებას.

„თანადგომა“ ადგილობრივი წყაროებისა და რეზერვების მაქსიმალური გამოყენების გზით იზრუნებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების კომპლექსური პროგრამების შემუშავება-განხორციელებისთვის, ეთნოკონფლიქტების, საერთო ეროვნული პრობლემების მოწესრიგებისთვის, იმ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, რომლებიც აუცილებელია სეპარატისტებთან ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახებისა და დაინვალიდებულთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მატერიალური თუ მორალური დახმარებისათვის.

— მიზნები, იცოცხლეთ, კარგი გქონიათ, მაგრამ ამაზე უკეთესად დაწერილი განუხორციელებელი პროგრამებიც გვინახავსო, — იქედნურად შეიძლება ჩაილაპარაკოს ამ სტრიქონების წაკითხვისას მავანმა ნიჰილისტმა.

და სწორედ მისნაირთა გასაგონად მინდა ვთქვა: კვეხნასა და თავის ქებაში ნურავინ ჩამოგვართმევს, მაგრამ ჩვენს კავშირს შეუძლია საკითხებისა და პრობლემების შესწავლაც, სათანადო ინსტანციებში განსახილველად მათი დასმა-დაცვაც და მტკივნეული პრობლემების გადაჭრისთვის ბოლომდე ბრძოლაც, თვით სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანის დონემდეც კი. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მისი კრედოა სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ხოლო იმას, რომ „თანადგომას“ პრაქტიკულად ძალუძს ამის გაკეთება, ადასტურებს ისიც, რომ ამომრჩევლებთან და ლტოლვილებთან აბაშასა თუ სენაკში ამ მცირეოდენი ხნის წინათ გამართულ შეხვედრებზე წამოჭრილი ყველა მთავარი საკითხი და პრობლემა საქმისადმი მისი სწორედ ამგვარი მიდგომით პრაქტიკულად უკვე გადაწყდა. ეს კი კარგ სტიმულს გვაძლევს შემდგომ მუშაობისთვის.

გენო კალანდია,

პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ თანათავმჯდომარე:

ჩვენი მოუქნელი პოლიტიკის მსხვერპლი ვართ



— მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთის საკითხს, ლტოლვილთა დაბრუნებას კვლავ მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებები გადაწყვეტს?

— ჟენევის მრავალხმიანმა მოლაპარაკებამ ჩაილურის წყალი დალია. არავითარი შედეგი. მშობლიურ კერას დაუბრუნდა მხოლოდ 250 ლტოლვილი. ისიც დღემდე გაურკვეველი სტატუსის მქონე ქვეყანაში, მოქალაქის უფლებებისა და სიცოცხლის შენარჩუნების უგარანტიებო სახელმწიფოს დონეზე. ხალხი დაიღალა, აფხაზეთში დაბრუნების ფიქრით გამოიფიტა. ჩვენ, ჩვენივე მოუქნელი, უძრავი პოლიტიკის მსხვერპლი ვართ.

როგორც სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, საქართველოს ბიუჯეტიდან აფხაზეთს ყოველწლიურად გამოეყოფოდა 10 პროცენტი. დღეს, როგორც ღარიბ ნათესავებს, 0,02 პროცენტსაც გვამუნათებენ. აქედან ცხადი და აშკარაა, რომ აფხაზეთის მრავალტანჯული მოსახლეობა სიცოცხლეშივე ჩამოვწერეთ და დღითი დღე ვმარხავთ.

ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ფენა — განათლების მუშაკები, რომელმაც აფხაზეთის ომში 300-მდე პედაგოგი და 200 სტუდენტი ახალგაზრდა დაკარგა, პერმანენტულად შიმშილობს.

თუ ჩვენი სისხლით, კირთებით შექმნილი ქართული კულტურის კერები ვერ შევინარჩუნეთ და საკუთარ გარემოში ვერ დავაბრუნეთ, ის აფხაზეთი ნამდვილი საქართველო ველარასოდეს იქნება.

მოვიყვან ერთ მაგალითს: წყალტუბოში, სტაციონარულად განთავსებულ 8700 ლტოლვილზე, 160-180 მილიარდი კუპონის ნაცვლად, გათვალისწინებულია 51 მილიარდი. მთავრობის დადგენილებით, ლტოლვილებს ემსახურება მომსახურე პერსონალი, საერთო საცხოვრებლის ნორმატივებით კი მათი ხელფასი არსად არ არის გათვალისწინებული. არაფერს ვამბობ ლტოლვილების გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

ბიუჯეტით ერთ სულ ლტოლვილზე გათვალისწინებულია 3 მილიონი კუპონი. ჩვენი გაანგარიშებით, სამასი გრამი ხმელა პურის შესაძენად ამ გაუბედურებულ ადამიანს თვეში 3 მილიონ 600 ათასი კუპონი სჭირდება...

— რამდენად სტაბილურია სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშების პროცესი?

— დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის დროს დაზარალდა მშვიდობიანი მოსახლეობა. ზუგდიდში, აბაშაში, ფოთში, წყალტუბოში დაინგრა ათობით საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობა. მარტო სენაკში მთლიანად განადგურდა 250 კერძო სახლი, ხოლო 2500 — კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. ერთ პატარა სოფელ დარჩელში დაპირისპირებულმა მხარეებმა შურისძიების მიზნით გადაწვეს 21 სახლი. სამწუხაროდ, დღემდე არავის უფიქრია ძმათა მკვლელი ომის შედეგად დანგრეულის აღდგენასა და დახმარებაზე.

— პარლამენტში რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებამ დიდი ხმაური გამოიწვია, რა არ მოგწონთ მასში?

— ბიუჯეტის განხილვის დროს, პარლამენტის სხდომაზე დავაყენე რამდენიმე პრინციპული საკითხი, კერძოდ, მეჩაიეებისათვის შრომის ანაზღაურების, კულტურის სფეროების უფრო უხვად დაფინანსების შესახებ. ჩემთვის გაუგებარია ბიუჯეტის მესვეურთა დამოკიდებულება ამა თუ იმ რეგიონისადმი. მაგალითად, კახეთის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის აპარატის საფინანსო ხარჯები შეადგენს 8,855 მილიარდ კუპონს, ხოლო ქვემო ქართლის დაფინანსება პროექტით 113 მილიარდს აღემატებოდა...

ჩვენი მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო. თუ სტაბილიზაცია, წესრიგი გვინდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავწყვიტოთ პოლიციის პრობლემები.

— როგორ გესახებათ „თანადგომის“ მონაწილეობა რესპუბლიკის მიმდინარე პროცესებში?

— ცხოვრებამ, მიმდინარე პროცესების სალტო-მორტალემ, დამარწმუნა, რომ დუმილი ყოველთვის არ არის „ოქროს რჩეული“. სათქმელი უნდა ითქვას. როცა აფხაზეთის სახელით რაიმე სტრუქტურა იქმნება, ჩნდება [illegible], ოვალურ კაბინეტებსა და ოფისებში საგანგებოდ დამუშავებული წინაღობები, თითქოს [illegible] სხეულის მოგერიებას ვცდილობთ.

პარლამენტართა კავშირი „თანადგომა“ ყველა ამ პროცესში გარკვევას ცდილობს. როგორ [illegible]? ვნახოთ, [illegible]!

რით ვუშველოთ საქართველოს?

ხელი-ხელს, გული-გულს, მხარი-მხარს!

ლაპარაკობენ საქართველოს პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" წევრები

თენგიზ კალანდაძე,

პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" თანათავმჯდომარე

სხვისი მოიმედეობა არას გვარგებს...

— რამ გადაგვაწყვეტინა „თანადგომის" დაფუძნება? — თქვენს ამ კითხვას უწინარესად ერთი კატეგორიული პასუხი უნდა გავცე: რამც და არამც პოპულიზმმა, თავის გამოჩენა-წარმოჩენის, ვინმეს თვალში ქულების მოპოვების სურვილმა... მაშ რამ?

ალბათ, დამეთანხმებით, რომ გაუსაძლისად ძნელია იყო დღევანდელ საქართველოში ქართველი, შენი ხალხის შვილი და რჩეული — ქვეყნის პარლამენტის წევრი, და პრაქტიკულად თითქმის ვერაფერს შველოდე შენს ხალხს, სამშობლოს.

ძნელია ძირითადად მხოლოდ [illegible] დღევანდელ ურთულეს პრობლემებზე, 300 ათასზე მეტი ლტოლვილის უმძიმეს ბედზე, დროებით დაკარგულ აფხაზეთზე, საქართველოს სხეულიდან თითქმის მოგლეჯილ შიდა ქართლზე, საოცარ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, თავად კი უმოქმედო, სხვისი მოიმედე და მისი ხელის შემყურე იყო, უსმინდე განგაშის ზარების ღარისხებას და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის კი ფაქტობრივად არაფერს ან ვერაფერს აკეთებდე....

ხომ გახსოვთ, ღმერთო მიშველეო და, ხელი განძრიე და გიშველიო — [illegible] რომ უპასუხა უფალმა. [illegible] უნდა ვიყოთ, როგორც [illegible] ვთქვი, სხვისი ხელის შემყურენი?

ყოველივე ამან გადაგვაწყვეტინა ძირითადად აფხაზეთისა და სამეგრელოს დეპუტაციის წარმომადგენლებს, საინიციატივო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც შარშან, წმინდა გიორგობის დღეს, აბაშაში გაიმართა, შეგვექმნა საპარლამენტო კავშირი „თანადგომა", რათა ჩვენი კონკრეტული წვლილი შეგვეტანა აფხაზეთისა და სამეგრელოს, ამით კი მთლიანად საქართველოს პრობლემების გადაჭრაში. „თანადგომა" თავისთავად მეტად ტევადი სიტყვაა და იმდენად გლობალურ მიზნებს მოიცავს, რომ კავშირის პროგრამის გაცნობის შემდეგ მასში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს საქართველოს სხვა რეგიონების წარმომადგენელმა დეპუტატებმაც, რამაც მთლიანად მოხსნა საბაბი ერთგვარი ეჭვისა ახალშექმნილი კავშირის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოჩვენებითი ვიწროკუთხეობის შესახებ.

— „თანადგომის" მთავარი სამოქმედო მიზნებიდან რომელს გამოყოფდით?

— ჩვენთვის უმთავრესია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ეროვნულ შერიგებასა და თანხმობას და ფართომასშტაბიანი რეფორმების დაჩქარებას. ყოველნაირად ვიღვაწებთ სამეგრელოს რეგიონის უსწრაფესი ეკონომიკური აღორძინებისთვის, რითაც აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტაც დაჩქარდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: „თანადგომა" თავისი კონსტრუქციული პოზიციით უნდა იყოს პარლამენტში ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას გამაერთიანებელი, შემრიგებელი ძალა და არა გათიშვა-დაპირისპირების გამომწვევი. იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუწყოს საპარლამენტო საქმიანობის ავტორიტეტის ამაღლებას, სახელმწიფო ინტერესების დაცვას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში.

ახლა, როცა, საბედნიეროდ, სეპარატისტული გამოხდომების მარცხი გარდუვალი ხდება, საჭიროა უაღრესად გამჭრიახი, შორსმჭვრეტელური და მახვილგონივრული მოქმედება. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ღირსეული, წელგამართული და სამაყო იყოს ჩვენი სახელმწიფოებრივი მმართველობის აღდგენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს უნდა მოხდეს ერთობლივი ძალისხმევითა და არა ცალკეული, ხშირად გაუმართლებელი მოწოდებებისა და მოთხოვნების შესაბამისად, არ უნდა ავყვეთ პროვოკაციულ გამოხდომებსა და მადიზორგანიზებელ ქმედებებს. ძირშივე უნდა აღვკვეთოთ შურისძიებისა და სამაგიეროს მიზღვის მომენტები.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესები უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს და განსაზღვრავდეს ჩვენს მსოფლმხედველობას.

გივი ლომინაძე

„თანადგომის" თანადგომა ფასეული და დამაიმედებელია



არ შევუდგები იმის ახსნას, თუ რამ განაპირობა დასავლეთ საქართველოში ერთი წლის წინათ საგანგებო სიტუაციის გამოცხადება. იმას კი ვიტყვი, რომ საგანგებო სიტუაციების დროებითმა კომიტეტმა თავისი ისტორიული ფუნქცია შეასრულა: სამოქალაქო ომის ეპიცენტრში შარშან შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სამართალდამცავი სტრუქტურები და სხვ. ერთი სიტყვით, საქართველოს იურისდიქცია აღდგენილიყო საქართველოს იმ ნაწილში, სადაც 3 წლის განმავლობაში ანარქიის, ძალმომრეობისა და უწესრიგობის ეპიცენტრი გაჩნდა. ამ კომიტეტის მუშაობა დადებითად შეფასდა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებაში, რაც თავისთავად, სამომავლოდ ბევრს გვავალებს. მაგრამ არანაკლებ დაძაბული შრომა გვჭირდება ახალ ეტაპზე, რათა თანდათან ამოქმედდეს დანგრეული, მოშლილი ეკონომიკა.

ეს იოლი საქმე როდია სამეგრელოს რეგიონში, სადაც განთავსებულია 170 ათასი დევნილი. მათთვის ყველაფერს ვაკეთებთ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და ჩვენი მწირი რესურსების აკუმულირებით (აი, ახლაც სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩარევით, საახალწლოდ დევნილებს დავურიგეთ 200 ტონა შაქარი; მათ და ადგილობრივ მოსახლეობას შედარებით იაფად მივაწოდეთ იმავე რაოდენობის ფქვილი; საერთაშორისო წითელი ჯვრის ძალისხმევით მოვიზიდეთ ჰუმანიტარული დახმარება, რისი დარიგება ახლაც გრძელდება), მაგრამ ყოველივე ეს ზღვაში წვეთია, თუ არ იქნა მთავარი — გარანტირებული უპირობო დაბრუნება მშობლიურ კერაზე. დასახული მშვიდობიანი გზებით ამის მოგვარება, სეპარატისტთა მიზეზით, ჩიხში მოექცა. ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით ამას და ვფიქრობდით ალტერნატიულ ვარიანტზე. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ალტერნატივის ჟამი დადგა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ეს ის საკითხია, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და მინისტრთა კაბინეტმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ხალხთან მოთათბირების შემდეგ...

ზუგდიდში, ფოთში, სენაკში, აბაშაში, წალენჯიხაში წარმოების დიდი პოტენციალია. პოლიტიკური სიტუაცია ნორმალურია, მაგრამ მისი ამოქმედება დაკავშირებულია უამრავ პრობლემასთან — ენერგომატარებლებთან, ნედლეულთან, მოშლილ-გაძარცვულ საწარმოო საშუალებებთან და ა. შ.

არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელი საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფოთს. სწორედ ამ განსაკუთრებულობით არის გაპირობებული, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც გაიზარდა ქალაქის მერიის უფლებამოსილება, ბევრი საკითხი, რომელიც ადრე მინისტრთა კაბინეტისა და სამინისტროების დონეზე წყდებოდა, მერიის კომპეტენციაში გადავიდა, რაც, დარწმუნებული ვარ, სასიკეთოდ წაადგება საქმეს. ამავე ბრძანებულებით მოწონებულია წინადადება ფოთში თავისუფალი სავაჭრო ზონებისა და ოფშორული ზონის შექმნის შესახებ. მოსამზადებელ სამუშაოებს წარმართავს სამთავრობო კომისია რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით. სამხარეო ადმინისტრაცია კავშირ „თანადგომის" წევრებთან ერთად გადაჭრით უჭერს მხარს ამ იდეას და მონაწილეობას მიიღებს მისი დებულების შემუშავება-განხორციელებაში.

რაც შეეხება კრიმინოგენულ სიტუაციას, მართლწესრიგს, შედარებაც არ შეიძლება რამდენიმე თვის წინანდელთან, თუმცა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მაგისტრალებზე ბანდფორმირებების თარეში. დიდ იმედს ვამყარებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხარეო სტრუქტურის შექმნაზე, რომელსაც თავისი რეალური ძალები და საშუალებები ექნება.

სამხარეო ინსტიტუტის ჩამოყალიბება თავისთავად ურთულესი საკითხია და მისი მოგვარება დამოკიდებული არ არის მარტო ადმინისტრაციაზე, ამისათვის მთლიანად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელმა. ერთიც: ამ ინსტიტუტის რეალობას უნდა შეეგუოს ზოგი ის სამინისტრო და უწყება, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბდნენ როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები და კვლავ ისე აგრძელებენ მუშაობას, ამასთან, ბევრ უწყებასთან უკვე არის დამყარებული საქმიანი, კოლეგიური ურთიერთობა, ყალიბდება შესაბამისი სამხარეო სტრუქტურები, რაც, ვიმედოვნებთ, თავის დადებით შედეგს გამოიღებს. ასეთი საქმიანი კავშირები გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საგადასახადო ინსპექციასთან, კონტროლის პალატასთან, ეროვნულ ბანკთან და აგრომრეწვბანკთან...

რაიონული გამგეობები დამოუკიდებელ ერთეულებად რჩება. სამხარეო ადმინისტრაციას ძირითადად ხელშემწყობის, კოორდინატორის, ორგანიზატორის ფუნქცია აკისრია, თუმცა, იმ უფლება-მოვალეობებით, რაც სამხარეო ადმინისტრაციას აქვს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე (მასში ქვეყნის სამხარეო მოწყობა ერთ-ერთ ძირითად ვარიანტად არის გათვალისწინებული, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ რეფერენდუმის გზით უნდა მიიღოს) საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია რადიკალურად ჩაერიოს მათს საქმიანობაში და მკვეთრი ღონისძიებებიც განახორციელოს. სამხარეო ადმინისტრაციამ და რაიონულმა გამგეობებმა ერთობლივი ძალისხმევით შევძელით ის, რაც გვაქვს დღეს რეალურად და რაც, ვფიქრობ, ცოტა არ არის.

ჩვენთვის დღეს უაღრესად ფასეული და დამაიმედებელია პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" თანადგომა და მხარდაჭერა. რამდენად საჭირო იყო ამ კავშირის შექმნა? ცალსახად ვუპასუხებ: ეს ადრეც უნდა მომხდარიყო! ეს კარგია მთელი ჩვენი მუშაობის პრაქტიკულ-იდეოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც, მით უფრო, რომ, გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, არც რადიო-ტელევიზია და არც პრესა რეგიონის მოსახლეობამდე არ აღწევს. და აი, ჩვენ დაგვეხმარება დეპუტატთა ცოცხალი სიტყვა და საქმე, დამრაზმავი ძალა, რაც აბაშასა და სენაკში ამომრჩევლებსა და დევნილებთან „თანადგომის" წევრთა შეხვედრისას დაყენებული საკითხების დადებითად გადაწყვეტითა და საქართველოს წლევანდელი ბიუჯეტის მიღებით გამოჩნდა.

ვალერი ქანტურია

უმთავრესია წარმოების რეანიმაცია

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე თითოეული ჩვენგანისთვის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ეკონომიკის ფეხზე დაყენება. თვით ქვეყნის ბიუჯეტიც, რომლის გარშემოც ამდენი განსხვავებული აზრი არსებობს, სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკის ანარეკლი. ამიტომაც სწორედ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეანიმაცია უნდა მივიჩნიოთ მისი ფორმირების საიმედო წყაროდ. ლამის ყველა ჭიშკართან გამართულია ვაჭრობა, ჯიხურები და დუქნები, ქუჩის ბიზნესი არასოდეს ყოფილა ეროვნული შემოსავლის მიღების გარანტი.

თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამრუდებამ, საბაჟო და საგადასახადო სამსახურებში ფეხმოკიდებულმა უწესრიგობამ, სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა, ქვეყანას აუნაზღაურებელი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა. ეკონომიკის განვითარების საქმეში საბანკო სისტემის ადგილი კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ არ შეიძლება გამართლება მოეძებნოს იმ გამოკვეთილ ტენდენციას, როცა ბანკომანიით გატაცებამ ასეთი მასშტაბები მიიღო და მას გაუჩნდა ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური ცხოვრებიდან მატერიალური წარმოების გამოდევნისა და მისი ადგილის დაკავების პრეტენზია. კურიოზული ფაქტია: ზოგი რაიონის ბიუჯეტის მოგებიდან გადასახდელებში უშუალოდ წარმოების სფეროდან მიღებული სახსრები საერთო მოცულობის 10 პროცენტსაც ვერ აღწევს.

ცალკეულ შემთხვევაში ინერციის ძალით, სტერეოტიპულად ფინანსდება ისეთი სამსახურები, რომლებიც, ფაქტობრივად, ნომინალურად არსებობენ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბევრი მათგანის ფუნქციონირება დღევანდელ გაჭირვებულ [illegible], იქნებ არც იყოს საჭირო.

უპრეცედენტო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, როცა ხელაღებით დავანგრიეთ მართვის აპრობირებული, დროით გამოცდილი ორგანიზაციული ფორმები ისე, რომ არ გვქონია მისი შემცვლელი არამც თუ უკეთესი, არამედ არავითარი სხვა ვარიანტი. ამის ლოგიკურ შედეგად უნდა ჩავთვალოთ, ვთქვათ, აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა. ეკონომიკური რეფორმის ორი წლის თავზე შემუშავებულიც კი არ არის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების — მევენახეობისა და მეჩაიეობისადმი მიდგომის სტრატეგიული პოლიტიკა. პლანტაციები გაველურდა, მთლიანად დაეცა წარმოების დონე, დავკარგეთ პროდუქციის გასაღების ბაზარი, გაპარტახდა წლების მანძილზე რუდუნებითა და წვალებით შექმნილი სოციალური ინფრასტრუქტურა.

ახლო წარსულის ავადმოსაგონარმა მოვლენებმა დაამუხრუჭა პრივატიზაციის დაჩქარებული წარმართვა. ამავე დროს, ჩემი აზრით, ამ პროცესს სჭირდება ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომა, იმ ანგარიშით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, მთავარი მაინც ის არის, რომ დავიცვათ ობიექტურობა, თანაბარი სასტარტო შესაძლებლობების შექმნასა და სახელმწიფო ქონების განაწილებაში სამართლიანობის პრინციპების დაცვა ცენტრსა და რეგიონებს შორის ფუნქციების კონკრეტული გამიჯვნის საფუძველზე.

ახლა მთელი ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მომენტად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების რეანიმაცია, მუშაობის ყველა უბანზე წესრიგის დამყარება. ეს ადვილი არ არის. ამ პოლიტიკის განხორციელების გზაზე იქნება უამრავი წინააღმდეგობა, რომლის გადალახვა პრინციპულ და თანამიმდევრულ ღონისძიებებს მოითხოვს.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს, მათთან ურთიერთობის სწორად აგებას, ეკონომიკის თუ სოციალურ სფეროში ქვეყნის სასიკეთოდ გამიზნულ ყოველგვარ ინიციატივას.

ამავე დროს, არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი იმ მანკიერ ტენდენციას, როცა ეკონომიკური დამოუკიდებლობის ან სხვაგვარი თვითინიციატივის ალმით შეინიშნება რაიონულ დონემდე დასული პროვინციული სეპარატიზმის ერთგვარი გამოცოცხლება. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ყველა ამ წინადადების უკან დგას ცალკეულ პიროვნებათა წინასაარჩევნო ცუდად შენიღბული ამბიციები, კარიერისტული ან ანგარებითი ინტერესები.

პარლამენტართა კავშირი „თანადგომა", თვით სამხარეო ადმინისტრაცია, მიზნად ისახავენ სრულიად საქართველოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში თავიანთი საპატიო ადგილი დაიმკვიდრონ.

ანზორ წოწონავა

ლაპარაკიდან რეალურ მოქმედებაზე გადავიდეთ

პარლამენტში პირველი დღიდანვე ვერ ჩამოყალიბდა ის პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც აფხაზეთის პრობლემას მთლიანად მოიცავდა. თვით ამ საკითხის გარშემო პარლამენტში ბჭობაც კი საზიანო იყო საქმისათვის: არავითარი საიდუმლო — სამხედრო-სტრატეგიული თუ სხვა, — არ იმალებოდა, რასაც მშვენივრად იყენებდა მოწინააღმდეგე.

აფხაზეთის კომისიის წევრი ვარ, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაგვიკეთებია, ისევე როგორც გაგრის კომისიას. ამ პერიოდში თუნდაც კომისიის, ფრაქციათა დონეებზეც კი, პრაქტიკულად, პოლიტიკური შეფასება არ მისცემია აფხაზეთის მოვლენებს. არ მომხდარა ცალკეული წაგებული ბრძოლის ანალიზიც კი, და ისე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მივედით იქამდე, რომ გაგრის ტრაგედიას მოჰყვა კოჩარის ტრაგედია, მერე სოხუმის დაცემა და ა. შ. დღემდე ძიებით დაუდგენელია იმათი დანაშაული, რომლებმაც პრაქტიკულად წაგვაგებინეს ომი. ამდენად, სრულიად მართებულია ხალხის საერთო აზრი, რომ პარლამენტი ჯეროვნად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ეს იმის მიზეზიც არის, რომ ვერ ხერხდება პარლამენტის მართვა. აი, ამან განაპირობა ჩემი, როგორც აფხაზეთის დეპუტაციის წევრის გაერთიანება „თანადგომაში". მიმაჩნია, რომ პარლამენტართა ეს კავშირი ის გაერთიანებაა, სადაც ხდება აზრის კონსოლიდაცია და მნიშვნელოვან პრობლემათა პრაქტიკული გადაწყვეტა, ხელისუფლებაში მათი დასმისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის უკომპრომისო, პრინციპული პოზიციით.

ორი წელიწადი გავიდა იმის შემდეგ, რაც დაიწყო მუშაობა ჩვენმა პარლამენტმა. ეს იყო მძიმე პერიოდი, რომელიც ქვეყანამ გაიარა. დღეს საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური ვითარებაა, ხალხის სოციალური ყოფა უკიდურეს ზღვრამდეა მისული.

მთავარი მიზეზი ჩვენი უბედურებისა ის არის, რომ ქვეყანას არ აქვს დამცველი მექანიზმი (როგორც საშინაო, ისე საგარეო), რეალურად არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური სივრცე, საბაჟო რეჟიმი. რესპუბლიკიდან შეუფერხებლად გადის სტრატეგიული საქონელი, ნედლეული და სხვა. სახელმწიფოში შექმნილ ბიუროკრატიულ აპარატში კორუფციამ იძალა, თუ დღეს საბაჟო სისტემაში რაღაც გაჯანსაღება ხდება, ამას მაინც არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლია ეკონომიკისათვის, რადგან **ქვეყანაში კანონდება ყოველგვარი უკანონობა**. თვით მინისტრთა კაბინეტი სისტემატურად არღვევს მიღებულ კანონებს. სრულიად დაუცველი არიან მეწარმეები. კრიმინოგენული სიტუაცია არ იძლევა საშუალებას, რომ ქვეყანაში დამკვიდრდეს ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. ტერორისტული აქტები გრძელდება. სამართალდამცავი ორგანოები იმდენად არიან შეზღუდული, რომ საჭირო ზეგავლენას ვერ ახდენენ კრიმინოგენული სიტუაციის გაჯანსაღებაზე.

პარლამენტთა კავშირს „თანადგომას" მიაჩნია: გამოსავალი ამ ურთულესი მდგომარეობიდან ის არის, რომ სასწრაფოდ დადგეს სესიის დღის წესრიგში „მაფიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დებულების" განხილვა და შეიქმნას საპარლამენტო კომისია.

უპირველესად ყოვლისა, მთავარია განხორციელდეს რეფორმები სამართალდამცავ ორგანოებში პოლიციისა და იარაღის შესახებ მიღებული კანონების სრული შესაბამისობით, გაძლიერდეს მისი მართვის სისტემა, მომძლავრდეს მატერიალურ-ტექნიკურად; შინაგან საქმეთა სამინისტრო ითხოვდა 35 ტრილიონ კუპონს, ბიუჯეტი 19 ტრილიონს ითვალისწინებს. არადა, პრაქტიკულად ვერც 35 ტრილიონი და მით უმეტეს, ვერც 19, აბსოლუტურად ვერ გადაწყვეტს მის პრობლემებს. მაგალითად, საქართველო ინტერპოლის წევრი არ არის, ან როგორ უნდა გახდეს მისი წევრი, როცა არ გაგვაჩნია მონაცემთა კომპიუტერული ბანკი, რასაც არანაკლებ 2 ტრილიონი კუპონი სჭირდება? ეს თუ დღეს არ გაკეთდა, მომავალი 3 წლის განმავლობაში დამნაშავეობა ქვეყანას შთანთქავს. ყველაფერი უნდა მოვიკლოთ და პოლიციას მივცეთ, კიდეც ვიშიმშილოთ, რათა ხალხისთვის დღევანდელი და ხვალინდელი დღე მშვიდი იყოს. ამით, ლაპარაკიდან რეალურ მოქმედებაზე გადავიდეთ სახელმწიფოში საჭირო წესრიგის დასამყარებლად.

იქნება წესრიგი, იქნება სახელმწიფო, ამით მოახლოვდება აფხაზეთის დაბრუნების დღე, რომლის რეალური კონტურები უკვე ჩანს.

ნუგზარ ნადარაია,

პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" თავმჯდომარე.

მხოლოდ ერთიანობა და თანადგომა გადაგვარჩენს



ახალს ნაღდად ვერაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ საქართველოს ამჟამად თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, ძნელბედობის ჟამი უდგას. ვერც იმის თქმა ჩამეთვლება ორიგინალურობად, რომ სწორედ დღეს გვჭირდება ყველაზე მეტად ერთიანობა და თანადგომა, მხოლოდ ეს გადაგვარჩენს და გაგვამარჯვებინებს თითოეულს და ყველას ერთად ჩვენი პოლიტიკური მრწამსისა თუ პარტიული კუთვნილების მიუხედავად.

ამიტომაც არ გაგვჭირვებია ჩვენი ახალშექმნილი კავშირის „მონათვლა", [illegible] მას ერთსულოვნად დავარქვით „თანადგომა". არ გაგვჭირვებია, რადგან პირადად ჩემთვის [illegible] ასე იყო და „თანადგომის" დანარჩენი წევრებიც სამართლიანად თვლიან, რომ უმაღლესი პარტიულობა სწორედ საქართველოს სიყვარული და მისი უერთგულესი სამსახურია, სწორედ ამ მრწამსით გაერთიანდა „თანადგომა".

არც იმას მოვერიდებივართ მაინცდამაინც, რომ კავშირის შექმნის დამფუძნებელი აფხაზეთისა და სამეგრელოს დეპუტაციის წარმომადგენლები მავანსა და მავანს შესაძლოა კუთხურობასა და იქნებ თვით სეპარატიზმშიც კი „ვემხილებინეთ": ისინი ძირითადად მხოლოდ თავიანთი კუთხეების აღორძინებისთვის იბრძოლებენო. არ მოვერიდებივართ, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი უმთავრესი მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა, მეორეც, მტკიცედ გვწამს, რომ უაფხაზეთოდ საქართველო ვერ იარსებებს, ბევრის წინდაუხედავი ქმედებითა თუ გამონათქვამით, ჩვენი გათიშულობითა და სამოქალაქო ომით შეურაცხყოფილ-გაუბედურებული სამეგრელოს მოუფერებლად და აუღორძინებლად კი ვერც აფხაზეთის პრობლემა გადაიჭრება ჯეროვნად და, საბოლოოდ, მთლიან საქართველოსაც ბევრი რამ დააკლდება.

სიტყვა „თანადგომა" ერთად დგომას, ერთი საერთო მიზნისთვის ერთიანი ძალებით ბრძოლასაც გულისხმობს. სამწუხაროდ, ეს ერთიანობა გვაკლდა და გვაკლია დღესაც. ამიტომაც ჩვენს კავშირს, რბილად რომ ვთქვათ, უკმარისობის გრძნობა აქვს იმის გამო, რომ სათანადო მჭიდრო კონტაქტები არ არის დამყარებული „თანადგომასა" და აფხაზეთის ახლადაღდგენილ უზენაეს საბჭოს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შორის, პარადოქსული სიტუაციაა: საქმე და საკეთებელი ერთი გვაქვს, საერთო შედეგის მიღწევისთვის აუცილებელი კონტაქტები კი — არა. ამიტომ ჩვენი კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რომ აფხაზეთის პრობლემებით დაინტერესებული ნებისმიერი ორგანიზაცია თუ საზოგადოება, პარტია თუ ბლოკი ზეპარტიული ინტერესებით მიუდგეს საერთო საქმეს და ერთობლივი ძალებით იღვაწოს საქართველოს გამთლიანებისთვის.

უნდა იყოს ერთიანი ძალისხმევა, ერთიანი გამოკვეთილი, მტკიცე პოზიცია, მხოლოდ სიმართლე, ყველასა და ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა და არა ბოლომდე უთქმელი აზრები თუ ბუნდოვანი მოსაზრებები, მხოლოდ საქმის საზიანო მითქმა-მოთქმას რომ იწვევს, რაც, სამწუხაროდ, ერს ვერ დარაზმავს, ვერ აღაფრთოვანებს და, რაც მთავარია, ვერც სამშობლოს გამთლიანება-დაცვისათვის გააერთიანებს და სამოქმედოდ განაწყობს.

სწორედ ამის გათვალისწინებით, ერთი ჩვენეული მიდგომა: თუმცა აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიან მოგვარებაში მშვიდობიან პოლიტიკურ გზას ვანიჭებთ პრიორიტეტულ მნიშვნელობას, ისიც უთუოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლების, საერთაშორისო საზოგადოებრიობის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დღემდე გაწეული მუშაობა აფხაზ ნაციონალისტ-სეპარატისტთა მიზეზით ფაქტობრივად ჩიხში მოექცა, მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციათა ნების საწინააღმდეგოდ გაუმართლებლად ჭიანურდება საკუთარ მიწა-წყალზე დევნილთა დაბრუნება.

საჭიროა ახლებური მიდგომა და დამატებითი ძალისხმევა იმისათვის, რომ ეს პროცესი ისტორიულად შეუქცევადი არ გახდეს. ამასთან, სამწუხაროდ, სულ უფრო უარესდება და მძიმდება საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოს რეგიონში განთავსებულ ლტოლვილთა უზრუნველყოფა სიცოცხლის შენარჩუნების მინიმალური საშუალებებით. სამეგრელო საქართველოში სამოქალაქო ომის ეპიცენტრი იყო, რომელიც ნგრევის, განუკითხავი გაჩანაგებისა და დამცირების ობიექტად იქცა. მხარის რვავე რაიონსა და ქალაქში მძლავრი ეკონომიკური პოტენციალის მოშლის შედეგად იგი თვითონ აღმოჩნდა უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში და ამდენად არათუ დევნილთა, არამედ ფაქტობრივად ადგილობრივ მოსახლეობისთვის მინიმალური სასიცოცხლო პირობებიც კი არ არსებობს. მართალია, ამ ბოლო ხანს საქართველოს ხელისუფლების, სამეგრელოს მხარის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შეინიშნება ერთგვარი გამოცოცხლება, პოზიტიური ძვრები ეკონომიკის სფეროში, ბიზნესის განვითარებაში, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

ვთქვი და კვლავაც ვიმეორებ, თუმცა აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდით გადაჭრის მომხრენი ვართ, მაგრამ ჩვენი კავშირი ამის პარალელურად ყოველნაირად იზრუნებს ეროვნული შეიარაღებული ძალებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცებისათვის, რათა, საჭიროების შემთხვევაში, თუნდაც იარაღით დავიბრუნოთ ჩვენი ძირძველი კუთხე.

და კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი: ნათქვამია, მეზობლებს არ ირჩევენო. რაკი უფალმა საქართველოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური მდებარეობა არგუნა, ბოლოს და ბოლოს, მოსწონს თუ არა ეს დღეს ბევრს, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი მეზობელი რუსეთი საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეა. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის გასაღები რუსეთშიც დევს და გაერო თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მის აზრსა და შეხედულებებს განმსაზღვრელ ანგარიშს უწევენ, უნდა გვეყოს წინდახედულობა და მივიდეთ პირდაპირ რუსეთთან, მსოფლიოს შემოუვლელად, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორთან. ეს საქართველოს დღევანდელობასა და ხვალინდელ დღეს სჭირდება.

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ბოლოს მხოლოდ ერთს ვიტყვი: „თანადგომას" სრულიად საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს კონკრეტული სამოქმედო პროგრამა პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რასაც საგაზეთო ფართობის შეზღუდულობის გამო ამჟამად დაწვრილებით ვერ გაგაცნობთ (ამ პროგრამას ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ — რედ.), მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით მის უთუო შესრულებას კი ვპირდებით.

მალხაზ ბარამიძე

ჩვენი კაკალიც არ ვაჩხრიალოთ?!

ნათქვამია, ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო. ამ სიბრძნის უტყუარობაში თითოეული ჩვენგანი პრაქტიკული გამოცდილებით, ალბათ, მრავალგზის დავრწმუნებულვართ და, ამდენად, საკამათოც არაფერი უნდა იყოს, მაგრამ ერთი რამის თქმა კი გადაჭრით შემიძლია: როცა ჯანსაღი კაკალიც კი არ ჩხრიალებს, ეს, უწინარესად, მისი მესაკუთრის უნიათობის ბრალია.

რისთვის დამჭირდა ეს, ერთი შეხედვით, არცთუ ორიგინალური შესავალი? — მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გავუსწოროთ თვალი მწარე სიმართლეს — აფხაზ სეპარატისტებთან მარცხს და ხაზგასმით აღვნიშნოთ ამის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი: საინფორმაციო დუელი უიმედოდ წავაგეთ და ჩვენთვის ამ თავსმოხვეულ ომში მართალი ქართული მხარის მართალი პოზიცია დროულად და ობიექტურად ვერ გავაცანით მსოფლიო საზოგადოებრიობას.

ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამ კონფლიქტის მსვლელობისას ყოფილი საკავშირო ტელევიზიით მოწოდებული ინფორმაციის 90 პროცენტი აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით გადიოდა ეთერში. ცხადია, სინამდვილეც ცალმხრივად და არაობიექტურად აისახებოდა. ჩვენ კი ვერ მოვახერხეთ ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა.

უფრო მეტიც: ვერ გამოვიყენეთ ჩვენს ხელთ არსებულ შესაძლებლობათა ნაწილიც კი. ომის პერიოდში და მის შემდგომ აფხაზურმა მხარემ 6 ნაშრომი გამოაქვეყნა (სხვა საკითხია რა დონის, რამდენად მართალი და რა მეცნიერული ღირებულებისა იყო ისინი). როგორც ბოლო დროს გახდა ცნობილი, ამჟამად კიდევ ერთი წიგნი გამოუციათ, რომელიც 16000 რუსული რუბლი ღირს და მას აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენლები აეროპორტსა და ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებში უფასოდ არიგებენ. ჩვენში ამავე პერიოდში რამდენიმე შესანიშნავი ნაშრომი გამოიცა რუსულ ენაზე. დავასახელებდი თუნდაც ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მონოგრაფიას «Межнациональные отношения в Грузии — причины конфликтов и пути их преодоления», Тб. 1993 г; ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი ბროშურები «Кровавый сепаратизм», «Исторические и правовые аспекты конфликта в Абхазии, Тб. 1994 г»; „ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები"... ამ ნაშრომთა ნაწილი ევროპულ ენებზეც არის ნათარგმნი: გამოსაქვეყნებლად გამზადებულია ცნობილ ქართველ სპეციალისტთა კრებული „აფხაზურ-ქართული ისტორიული ძიებანი". მასში სათანადო მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია ეთნიკური კუთვნილების საკითხი, რაც ასეთ დიდ კამათს იწვევდა ქართველ და აფხაზ სპეციალისტებს შორის. ნაშრომის უაღრესად დიდი აქტუალურობის მიუხედავად, დღესდღეობით მისი გამომცემელი არ ჩანს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას საგამომცემლო თანხები არა აქვს და სპეციალისტები სპონსორთა იმედითღა რჩებიან. როგორღაც გამოქვეყნებული ზემოხსენებული ნაშრომებიც მათი მცირე ტირაჟის გამო ფართო მკითხველისთვის ფაქტობრივად უკვე მიუწვდომელია. ისიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ ეს ნაშრომები როგორმე დანიშნულებისამებრ მიგვეწოდებინა ვისთვისაც ჯერ არს. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული ფაქტი: ზოგიერთი მათგანი მოსკოვში, საქართველოს საელჩოში, ბოლო ხანებამდე კვლავაც გაუხსნელად იდო იმის მაგივრად, რომ სათანადო ინსტანციებში დარიგებულიყო.

არადა, ამას რომ მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის აუცილებელი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, ერთი მაგალითიც ადასტურებს: შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ერთ-ერთ სხდომაზე ეს ნაშრომები გადავეცით რუსეთის პარლამენტის საქართველოსადმი ყველაზე აგრესიულად განწყობილ ერთ დეპუტატს. ჩვენი გაოცება უსაზღვრო იყო, როცა მეორე დილით, მათი გაცნობის შემდეგ, მან ბოდიში მოგვიხადა და ქართველთა სიმართლე აღიარა.

რაოდენ კარგი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ინფორმაციული ბრძოლის სწორად წარმართვას, კარგად ჩანს დღევანდელი ჩეჩნეთის მაგალითითაც. როგორ დადგა ფეხზე მთელი მსოფლიო 5000 მშვიდობიანი მცხოვრებისა და 1000 მებრძოლის დაღუპვის გამო, ამ დროს კი ჩვენ 250000 მხოლოდ ლტოლვილი გვყავს, 30000-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრებია დახოცილი და ამაზე მსგავსი რეაგირება არ ყოფილა. როგორც ჩანს, ჩვენ ვერ მივაწოდეთ მსოფლიოს სწორი და ობიექტური ინფორმაცია. მართალია, ახლა თითქოს ყველა აღიარებს აფხაზეთის მხარის მიერ სამშვიდობო ხელშეკრულებათა დარღვევას, მაგრამ პროტესტი და მოთხოვნები ნაკლებად ისმის. აღნიშნულის გამო აუცილებლად მიმაჩნია გავააქტიუროთ მუშაობა ამ მიმართულებით. სახელმწიფომ (ან კერძო სექტორმა) უნდა უზრუნველყოს ზემოხსენებული ნაშრომების გამოცემა, სასურველია რომელიმე ევროპულ ენაზე. აუცილებელია გააქტიურდეს მუშაობა სხვადასხვა რესპუბლიკის, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის, პარლამენტების წევრებთან. ამ მიზნით კავშირი „თანადგომა" გეგმავს, რომ უახლოეს ხანებში ჩაატაროს ამ რესპუბლიკების პარლამენტარებთან აფხაზეთის დევნილი დეპუტატების მიზნობრივი შეხვედრები. ვფიქრობთ, ეს უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ზოგიერთი თუნდაც, უაღრესად პატივსაცემი პირის მიერ ჩატარებული პრესკონფერენციები და უშედეგო საზღვარგარეთული ვოიაჟები.

ყოველივე ეს კი ძალზე სწრაფად გამოიღებს ნაყოფს და ჩვენსკენ საბოლოოდ შემოაბრუნებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს.

ოთარ ზუხბაია

ორგანიზებული და კოორდინირებული ძალისხმევით

ალბათ, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ საქართველოს დაუდგა ქვათა შეკრების ჟამი. ოღონდ, მთავარია, გონივრულად გამოვიყენოთ იგი, თუნდაც ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება აფხაზეთის პრობლემების გადასაწყვეტად.

სავსებით ვეთანხმები ბატონ მალხაზ ბარამიძის მოსაზრებას ინფორმაციული მუშაობის გარდაქმნა-გააქტიურების თაობაზე და, ჩემი მხრივ, რამდენიმე კონკრეტულ მოსაზრებასაც დავსძენ:

შექმნილი მდგომარეობის სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით საჭიროდ მიმაჩნია შეიქმნას ჟურნალისტთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მოამზადებს სათანადო მასალებს პრესის, რადიოსა და ტელევიზიისათვის, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების ორგანოების დახმარებით უნდა გამოქვეყნდეს და გადაიცეს. რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით, ცენტრალური და რეგიონულ პრესაში და ტელევიზიით. ძალზე სასურველია მივაღწიოთ, რომ ჯგუფის მომზადებული მასალები ყოველდღიურად გადაიცემოდეს რუსეთისა და ევროპის ქვეყნების საინფორმაციო სამსახურების მეშვეობით.

მასალების მომზადება შეიძლება პირობით განისაზღვროს ორი მიმართულებით: ა) წინასწარ დაგეგმილი და, ბ) ოპერატიული რეაგირება ჩვენთვის არახელსაყრელ, ხშირად ცილისწამებლურ პუბლიკაციებსა თუ გადაცემებზე.

სასურველი იქნება ამ ინფორმაციების მომზადებაში შევძლოთ სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის პროგრესული პოზიციის ჟურნალისტთა ჩაბმა.

კიდევ ერთი საკითხი: ყველამ კარგად ვიცით, თუ რაოდენ რთულია დევნილი მოსახლეობის პრობლემები. ამიტომ, შეუძლებელია მათი მხოლოდ ლტოლვილთა კომიტეტის მეშვეობით გადაწყვეტა.

ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია მთავრობის დონეზე, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც თვეში ორჯერ მაინც განიხილავს საჭირბოროტო საკითხებს, გააკონტროლებს და სათანადო ორგანიზაციებს თუ უწყებებს მოსთხოვს გადაუჭრელი საკითხების შესრულებას, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე.

აგრეთვე მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს ამ ხალხის დასაქმება, სამხედრო სამსახურში გაწვევა.

თვით ლტოლვილთა კომპაქტურად განთავსების ადგილებში საჭიროა რამდენიმე კაციანი სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოაგროვებენ ინფორმაციებს დევნილთა ყოფა-ცხოვრების, დასაქმებისა და სხვა სასიცოცხლო საკითხების შესაბამის ორგანოებში განსახილველად.

მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს იმის ფაქტები, რომ თვითონ ხალხს უხდებოდეს ყველგან სიარული, საჭიროა ლტოლვილებთან მუშაობა გახდეს უფრო ორგანიზებული, კოორდინირებული და სისტემური, რის მიღწევასაც „თანადგომის" წევრები ყოველდღიურ მუშაობაში ყოველნაირად ეცდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ვაჟა ლორთქიფანიძის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს დანიშნოს ვაჟა ლორთქიფანიძე რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი, 1995 წლის 11 იანვარი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ვ. ლორთქიფანიძის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საწესდებო ორგანოებში საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნისა და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ

1. დაინიშნოს ვაჟა ლორთქიფანიძე საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად რუსეთის ფედერაციაში.
2. დაინიშნოს ვაჟა ლორთქიფანიძე საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საწესდებო ორგანოებში, დაეკისროს მას აღნიშნულ ორგანოებში რესპუბლიკის წარმომადგენელთა მუშაობის კოორდინატორის ფუნქციები, რისთვისაც რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა.
3. მიენიჭოს ვაჟა ლორთქიფანიძეს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 11 იანვარი.

დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში

11 იანვარს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოსათვის საგანგებო დამატებითი უფლებების მინიჭების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში მიენიჭა უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს და დაამტკიცოს საელჩოს სტრუქტურა, ასევე დანიშნოს და გაათავისუფლოს საელჩოს ყველა რანგის თანამშრომელი. საელჩოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან მიმდინარე საინტეგრაციო პროცესების მთავარი კოორდინატორის, ბიუჯეტიდან დაფინანსება დამოუკიდებლად განხორციელდება. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს და დაამტკიცოს რუს[illegible] საელჩოს დაფინანსების დამოუკიდებელი საბიუჯეტო პროგრამა.

გაუქმებულად და ძალადაკარგულად ჩაითვალა სახელმწიფოს მეთაურისა და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული ყველა ბრძანებულება, დადგენილება და განკარგულება, რომელთა მიხედვითაც რუსეთის ფედერაციაში შექმნილია სხვადასხვა სტრუქტურები, წარმომადგენლობები და დანიშნული არიან სახელმწიფოს მეთაურის ან მინისტრთა კაბინეტის საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლები და რწმუნებულები.

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობა შევიდა საელჩოს სტრუქტურაში, დაექვემდებარა მას და ქონება გადაეცა საელჩოს მფლობელობაში.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ რიგი კონკრეტული დავალებები საელჩოს მუშაობის ხელშეწყობისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ.

პარლამენტმა დაამტკიცა აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში.

რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ურთიერთობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამ თანამდებობაზე დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ვაჟა ლორთქიფანიძე**. ედუარდ შევარდნაძის სპეციალური ბრძანებულებით მას მიენიჭა დამატებითი საგანგებო უფლებამოსილება.

ლორთქიფანიძე დაინიშნა აგრეთვე რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან წარმომადგენლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საწესდებო ორგანოებში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„ხელისუფლება ლაფში არ იგორავებს“

ჩეჩენმა სეპარატისტებმა ფაქტობრივად არ მიიღეს რუსეთის მთავრობის წინადადება, ორი დღით შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედება, უკანონო ფორმირებებს დაეყარათ იარაღი და ესარგებლათ სახელმწიფო სათათბიროს მიერ გამოცხადებული ამნისტიით. ჩეჩნეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გენერალ დუდაევის მომხრეები არ აპირებენ იარაღის დაყრას. გროზნო დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ჯარების ჩეჩნეთის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანას. ამავე დროს ვითარება ჩეჩნეთში რთული რჩება.

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა განიხილეს ჩეჩნეთში შექმნილი სიტუაცია, მისი მოწესრიგების ღონისძიებები. შეხვედრის დროს პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფოს მეთაურს მოახსენა მოლაპარაკების პირველი ეტაპის პროცესში საგვარეულო კლანების წარმომადგენლებთან და უხუცესებთან თავისი კონტაქტების შესახებ. ვიქტორ ჩერნომირდინი შეხვდა აგრეთვე მოსკოვში ჩეჩნეთის დიასპორის წარმომადგენლებს. პრეზიდენტმა ბორის ელცინმა პრემიერ-მინისტრს დაავალა ჩეჩნეთში პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების ხელმძღვანელობა.

ოთხშაბათს, საზამთრო არდადეგების შემდეგ, მუშაობა განაახლა რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ — სახელმწიფოს სათათბირომ. პალატის პირველი სხდომა მთლიანად ჩეჩნეთის სიტუაციის განხილვას მიეძღვნა. დეპუტატების უმრავლესობამ უარყო ფრაქცია „რუსეთის არჩევანის“ კანონპროექტი, რომელიც რუსეთის არმიას ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების წარმოებას უკრძალავს. უარყო აგრეთვე კონსტიტუციაში რიგი შესწორებების შეტანის წინადადება.

სახელმწიფოს სათათბიროს თავმჯდომარემ ივანე რიბკინმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის კრიზისმა აჩვენა რუსეთის ხელისუფლების უუნარობა დროზე განეჭვრიტა მოსალოდნელი უბედურება.

ირაკლი ჯაფარიძე.

ახალი რედაქციით

გთავაზობთ 10 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი დეკლარაციის — საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებსა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებისადმი საერთო მიდგომის თაობაზე — მეშვიდე, მეცხრე და მეათე მუხლებს ახალი რედაქციით:

7. ამასთან საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას მიაჩნიათ, რომ კონფლიქტების ეფექტიანი გადაწყვეტა შეიძლება გარანტირებული იქნეს მხოლოდ ყველა დაპირისპირებული მხარის მიერ ამგვარი სიტუაციების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით მოწესრიგების საშუალებების შეუპოვარი და თანამიმდევრული ძიების შემთხვევაში.

9. საქართველოს რესპუბლიკა და უკრაინა აღიარებენ, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე კონფლიქტი არის რუსეთის ფედერაციის საშინაო საქმე. ამასთან, გამოხატავენ შეშფოთებას ინფორმაციის გამო მრავალრიცხოვანი მსხვერპლის თაობაზე, განსაკუთრებით მშვიდობიან მოსახლეობაში. ისინი სინანულს გამოთქვამენ, რომ კონფლიქტი იძენს სულ უფრო დიდ მასშტაბებს, რაც მასობრივ სისხლისღვრას იწვევს და მხარეებს მოუწოდებენ თავშეკავებისა და კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზების შეუპოვარი ძიების, ადამიანის უფლებების დაცვისაკენ.

10. საქართველოს რესპუბლიკა და უკრაინა მოუწოდებენ გაეროს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, ევროკავშირს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კავკასიის პრობლემებს და გამოიჩინონ დამატებითი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალისხმევა რეგიონში ყოვლისმომცველი მშვიდობის მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით, ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მნიშვნელოვნად გააფართოვებს კონკრეტული პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესს მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში აუცილებელი წინაპირობების შესაქმნელად სტაბილური და მყარი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

სევდიანი ფილოსოფიური ფიქრები ენგურის ხეობაში...

ქართველი მწერლის აფხაზური ჩანაწერებიდან...

I. სათანჯო და რუხი...

ვდგავარ ფიქრიანი და სევდიანი ენგურის ნაპირას. გაღმა სათანჯოს კოშკი ჩანს, გამოღმა — რუხის ციხე.

გაღმა აფსუა სეპარატისტები დგანან, გამოღმა — ქართველები. შუაზე მიედინება მდინარე, ვით ვაჟას ლექსში და ეგვიპტური პოეზიის ერთ შედევრში.

ხელში თოფით და გაეროს დროშით დგას რუსი ქართული მდინარის — ენგურის პირას, მაგრამ იცის კი მან რა საოცარი მდინარის პირას დგას? არა მგონია. სამწუხაროდ, ეს ბევრმა ქართველმაც არ იცის, რუსს რა მოეთხოვება... ჰგონიათ, რომ ენგური ჰყოფს საქართველოს. ეს სისულელეა. როგორ შეუძლია ენგურს საქართველო გაჰყოს, როცა ის სამყაროს აერთებს.

ენგურის ხეობა ჯადოსნურია. იქ არამხუტუს ქვას რომ ფეხი წამოჰკრა, ქვა შუმერულად ალაპარაკდება; მდინარის ტალღაში ხელი რომ ჩაყო, ოქროს თევზის ნაცვლად ხეთური მითოლოგემა ან ეგვიპტური ფანტასმაგორია ამოგყვება ოქროს საწმისის ნაგლეჯზე, წყალზე ან ფსკერზე დაწერილი ძველთაძველი ლურსმულით ან იეროგლიფებით... ოღონდ წაკითხვა უნდა შეგეძლოს... აქ ყოველი სქვანი ღვთის შიფრია და ღვთის სიტყვაა. ნავით რომ გადასცურო ენგური, იმ ნავის ფიცარი ნოეს კიდობნის ნატეხი შეიძლება აღმოჩნდეს...

იქ, სადაც იბადება ენგური, სვანები მღერიან ქართულ-შუმერულ მზის საგალობელს „ლილეს“, იქ, სადაც ენგური ერთვის ზღვას, „მთვარის მოტაცების“ კოლხური მისტერია იმღერება... შავი ზღვის შესართავთან ჭვირთით თევზი რომ დაიჭირო, მისი ფაშვიდან ვეშაპის მიერ გადაყლაპული ამირანი შეიძლება ამოვიდეს...

არა ენგურის სიღრმე, არამედ გილგამეშივით ყოფიერების „სიღრმე იხილეთ“ და თქვენ ჩაწვდებით ღვთის შიფრს, რომელიც ამ საოცარი მდინარის ხეობის საიდუმლოს წარმოადგენს.

ენგური ათას ერთ საიდუმლოს ინახავს, ხშირად თვით ოქროს საწმისის საიდუმლოზე დიდ საიდუმლოს...

არსებობს პოეტური, პროზაული, მითოსური, საოცრად თვალწარმტაცი ენგური, მაგრამ ბევრს ავიწყდება, რომ ენგური ყველაზე „ფილოსოფიური მდინარეა“ მთელ სამყაროში...

II. „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ და იგრი-(ი(ნ)გრი)... ქართული მდინარისა და წყლის წარმართული (კოლხური) ღმერთის პრობლემა

აფსუა სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ ენგურის ორივე სანაპირო თუ არა, მარჯვენა სანაპირო მაინც მათია, აფსუურია. ეს აბსურდია. ენგურს არა აქვს აფსუური ნაპირი. ენგური სათავიდან შესართავამდე ორივე სანაპიროთი წმინდა ქართული მდინარეა. ამაზე მისი სახელწოდება მეტყველებს — ენგური, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო ცივილიზაციაში განსაკუთრებულად მოსახსენებელი მდინარეა.

სეპარატისტი აფსუებისთვის დასათმობი ენგური სვანეთიდან არ მოედინება.

ენგურის პრობლემის გარკვევაში უდიდესი როლი მიუძღვის დიდ ქართველ მეცნიერს, დიდ ფილოსოფოსს, „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ფუნდამენტური ორტომეულის ავტორს, ლეგენდარულ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს.

შალვა ნუცუბიძის თეორიის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული მდინარე ენგური „ევროპულ მსოფლიოს“ ფილოსოფიურ მდინარეთა დედაა.

„იგრი“ კოლხური წყლის ღმერთია. „ი(ნ)გრი“-მდინარის, ენგურის კოლხური (ჭანურ-მეგრულ-ლაზური) სახელია. აქაა მსოფლიო ფილოსოფიის ერთი დიდი საიდუმლო დამარხული.

III. ფიქრები ენგურზე ათენში...

ენგურზე ფიქრი თან მომყვება მსოფლიოში მოგზაურობის დროს...

...ათენში ვარ და ენგურზე ვფიქრობ... ძველ ბერძნულში „იგრონ“ ეწოდება „წყალს“. „იგრონ“ არ არის ბერძნული სიტყვა. ის სხვა ენიდანაა შესული ბერძნულში.

უძველეს ქართულში — კოლხურში „იგრ“ /ი(ნ)გრ“/ ნიშნავს „მდინარეს“, კერძოდ „ენგურს“ და, მაშასადამე, „წყალს“.

ასე ჩნდება კოლხური „იგრის“ და ბერძნული „იგრ-ონ“-ის პრობლემა ფილოსოფიაში, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში.

ამ და მრავალი ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართველურ (ლაზურ-ჭანურ-მეგრულ) ენებს ეკუთვნით. ამიტომ არის საჭირო ამ ენების მეცნიერული შესწავლა და დანიშნულებისამებრ გამოყენება, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის და საკუთარ ეთნოგრაფიულ ნაჭუჭში იკეტება და საოცრად კმაყოფილია ამ დარგში თავისი უვიცობით.

ეს პრობლემა მსოფლიო ისტორიის დონეზე ესმოდა „ქართული ისტორიის მამას“ — აკად. ივ. ჯავახიშვილს, მსოფლიო ფილოსოფიის დონეზე ესმოდა აკად. შალვა ნუცუბიძეს, მსოფლიო ენათმეცნიერული კულტურის დონეზე ესმის აკად. თამაზ გამყრელიძეს და ბევრ სხვა მეცნიერს, მაგრამ, საერთოდ არ ესმის ბევრ წვრილფეხა მეცნიერსა და პოლიტიკოსს. თავად არ ესმის და სხვებსაც ხელს უშლის. არ ესმის, რომ ამით ქართველ ერს ძარცვავს.

IV. ფიქრები ენგურის პირას, რუხის ციხესთან ფილოსოფოს თალესსა და მდინარე ენგურის სახელის მნიშვნელობაზე ბერძნულ ფილოსოფიაში

რუხის ციხესთან ვდგავარ და ენგურს გავყურებ... მახსენდება. ერთხელ ათენის უნივერსიტეტში ფილოსოფოს თალესზე ვსაუბრობდით.

ფილოსოფოსი თალესი, როგორც ცნობილია, სამყაროს, ქვეყნის პირველსაწყისად მიიჩნევდა წყალს, რომელსაც უწოდებდა „იგრ-ონს“. („იგრე“, „იგროს“, „იგროწ“...).

— ეს სიტყვა ძველ ბერძნულში კოლხურიდან შესული ჩანს, — ვთქვი მე, — ასე მიაჩნდა ეს „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ავტორს, დიდ ფილოსოფოსს შალვა ნუცუბიძეს.

ბერძენმა პროფესორებმა ეჭვი გამოთქვეს, სკეპტიკური პოზიცია დაიკავეს. მაშინ შევახსენე მათ, რომ ძველ ბერძნულში „ფოლადის“ სახელი „ხალიბიკოს“ სწორედ კოლხურიდან არის შესული, და ეს სიტყვა უძველეს, მსოფლიოში პირველი მეტალურგების — კოლხი ხალიბების სატომო სახელს უკავშირდება.

ზოგმა გაიკვირვა, ზოგმა კვერი დამიკრა: ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ეს დადასტურებულიაო.

— ძველ ბერძნულში „რკინაც“ და „წყალიც“ („იგრ-ონ“) კოლხურია, ქართველურია, — ვთქვი მე, — ეს სიტყვა უდევს საფუძვლად ძველი ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთ მთავარ ცნებას და ქართული მდინარის ენგურის სახელწოდებას.

V. მდინარე ენგურის სახელის წარმოშობა სიტყვა არისტოტელეს ფილოსოფიურ მეტყველებაში...

თალესის ფილოსოფიურ შრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ ფილოსოფიას მსოფლიო იცნობს არისტოტელეს თხზულებებში გადმოცემული ცნობების მიხედვით, — მითხრა ჩემმა ოპონენტმა ათენის უნივერსიტეტში, — ამიტომ ძნელია იმის თქმა, თვითონ თალესი რომელ სიტყვას ხმარობდა „წყლის“ აღსანიშნავად.

— ფილოსოფოს შალვა ნუცუბიძის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან ბრწყინვალე ფილოსოფიური და ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ როცა არისტოტელე თავისი სიტყვებით გადმოგვცემს თალესის მოძღვრებას, ის „წყლის“ აღმნიშვნელ სიტყვად ხმარობს ცნობილ ბერძნულ სიტყვას „იდორს“. ხოლო როცა ცდილობს თალესის მოძღვრების ესა თუ ის დებულება მაქსიმალურად თალესის სიტყვებით, თალესის ტერმინოლოგიით გადმოგვცეს, შეიძლება ითქვას, თითქმის ციტირებას ახდენს, — „წყლის“ აღმნიშვნელად ხმარობს სიტყვა „იგრონ“-ს. მაშასადამე, თალესი ხმარობდა ფილოსოფიურ „წყლის“ აღმნიშვნელად კოლხურ სიტყვას — იგრონ“-ს და არა ძველ ბერძნულ სიტყვას „იდორ“ („წყალი“), რომელმაც შემდგომ თითქმის განდევნა ბერძნული მეტყველებიდან კოლხური „იგრონ“.

ასე ვეპაექრებოდი მე, „ბარბაროსი კოლხი“ ქედმაღალ ელინებს ათენში. ვპაექრობდით განურჩევლად ელინისა და ბარბაროსისა.

VI. ქართველური, კოლხური სიტყვა „იგრონ“ ჰომეროსთან და ჰესიოდესთან...

ვინც კარგად იცნობს „ქართული ფილოსოფიის ისტორიას“, განსაკუთრებით კი ჰომეროსის პოემას „ოდისეას“, ჰესიოდეს თხზულებებს: „თეოგონია“ და „დღეები და საქმენი“, მან იცის, რომ გენიალური ჰომეროსი და ანტიკური მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ჰესიოდე იცნობენ ქართველურ, კოლხურ სიტყვას — „იგრონ“ და ხმარობენ მას თავიანთ პოეტურ ქმნილებებში, ისევე როგორც თალესი და არისტოტელე — თავიანთ ფილოსოფიურ თხზულებებში.

ჰომეროსთან და ჰესიოდესთან კოლხური „იგრონ“ მხოლოდ „წყალია“, (მითოლოგიური „წყალია“), თალესთან კი — უკვე „ფილოსოფიური წყალი“ — ქვეყნისა და სიცოცხლის პირველსაწყისი.

მართლაც რომ საოცარი სიტყვაა ქართველური „იგრონ“ და მდინარე ენგურის სახელი „იგრი“ („იგრონ“).

ფილოსოფოს თალესს თითქოს ცალი ფეხი მითოლოგიაში უდგას, ცალი — ფილოსოფიაში. ის თითქოს ძველი სამყაროს უკანასკნელი მითოლოგი არის და იმავე დროს იმავე სამყაროს პირველი ფილოსოფოსი. მისი ცნებები მითოლოგიური ფორმის ელემენტებისაგან მთლად თავისუფალი არ არის.

როცა თალესზე ვფიქრობ, უნებლიედ მახსენდება ერთი დიდი მოაზროვნის ფორმულა: დანტე შუა საუკუნეების უკანასკნელი პოეტია და იმავე დროს აღორძინების ეპოქის პირველი პოეტიო.

VII, წყლის ღმერთის ქვეყანა ეგრიში, ანუ „ქართლის ცხოვრების“ ეგრისი. ლეონტი მროველის „ეგროსი“

მითაქამის (მითთაყამის) დროიდან მოედინება ენგური. მითაქამის დროიდან არსებობს ენგურის პრობლემა აზროვნებაში.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ „ეგრისს“ შეესაბამება ქართველური (ლაზურ-ჭანური) ეგრი-ში. ლიტერატურული ქართულის ბოლოსართს-„ის“ შეესაბამება ქართველური, ლაზური სუფიქსი-„ში“. ეს გრამატიკის ცნობილი კანონია. (იხ. ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკა“).

ერთ-ერთი ქართველური ტომის ეპონიმია, მამა-მთავარია ეგრ-ოს-ი. მას მოიხსენიებს ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“... ამ სიტყვის ფუძეა „ეგრ“. ეს იგივე „იგრი“ გახლავთ, რომელიც ქმნის თალესის „იგრ-ონს“ („წყალს“).

მაშასადამე, ეგრისი (ეგრიში) ნიშნავს „წყლის ღმერთის ეგრის (იგრის) ქვეყანას“. ისევე როგორც „ოდი-ში“ ნიშნავს „ნაყოფიერების ღმერთის ოდის ქვეყანას“. ასეთი მდგომარეობა გვაქვს მითოლოგიური აზროვნების დონეზე. ეს ერთი.

მეორე. „ეგრის“-ს („ეგრიშ“-ს) აქვს გააზრების არა მარტო მითოლოგიური, არამედ ფილოსოფიური დონეც და ამ თვალსაზრისით ის უკავშირდება თალესის ფილოსოფიური მოძღვრების აღმნიშვნელ სიტყვას — „იგრ-ონ“.

მესამე. „ეგრისი“ („ეგრიში“) არის ერთ-ერთი ქართული ქვეყნის სახელი და ამდენად ის ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ (სუბეთნიკურ) ტერმინსაც წარმოადგენს.

მეოთხე. ეგრ-ოს-ი არის ერთ-ერთი ქართველური ტომის ეპონიმი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ არის მოხსენიებული ისტორიკოს ლეონტი მროველის მიერ.

ამ აღმოჩენის შემდეგ უნებლიეთ მახსენდება შალვა დადიანის „რაც გამახსენდა“...

ივანე ჯავახიშვილს ვკითხე, ბრძანებს ბატონი შალვა, ქართული უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში კოლხმა სტუდენტებმა რომელ საგნებში გამოიჩინეს თავი?

— სიბრძნისმეტყველებაში, ბატონო შალვაო, — უთქვამს დიდ ივანე ჯავახიშვილს.

იქნებ ამაშიც ჩანს, ამაშიც ვლინდება „ისტორიული გენეტიკა“, კავშირი თალესის „იგრ-ონ“-სა ეგრისის „იგრ“-ს შორის! ვინ იცის! იქნებ ამასვე ადასტურებს ფაზისის ფილოსოფიური აკადემია, დიდი ქართველი ფილოსოფოსის იოანე ლაზის მოღვაწეობა, ლაზური მონასტერი იერუსალიმში... ვინ იცის! სიბრძნე სიბრძნისმეტყველებაზე, ფილოსოფიაზე უფრო ძველია.

აქვეა განსახილველი სულხან-საბა ორბელიანის „იგრიკა“, ძველი ქართული ლიტერატურის — „იგრიბატონი“, სოფლის სახელი „ინგრი“, კოლხური სახელი „იგრიკო“ და მრავალი სხვა ქართველური სიტყვა, რომლებიც შორეული ფესვებით უკავშირდება თალესის „იგრ-ონს“ და შალვა ნუცუბიძის იგრი-ი(ნ)გრ“-ს.

თალესის სიტყვის „იგრ-ონ“-ის ქართველური წარმოშობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ის ქართველური ენიდან, კერძოდ, კოლხურიდან შევიდა ძველ ბერძნულ ენასა და მსოფლიო ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში.

VIII. წყლის ფილოსოფიური აღქმა

ვდგავარ ენგურის პირას, იქ, სადაც „სიღრმე ვიხილე“. ევქსინის პონტისკენ მიაქვს თავისი წარღვნამდელი ტალღები ენგურს...

ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე ფიქრობს, რომ ბერძნებმა ქართველურიდან ისესხეს არა მარტო სიტყვა „იგრ-ონ“ (წყალი), არამედ წყლის, როგორც ქვეყნისა და სიცოცხლის პირველსაწყისის ფილოსოფიური იდეაც.

ეს მხოლოდ წარმტაცი ჰიპოთეზაა, მაგრამ საოცარია, ამ ჰიპოთეზას შალვა ნუცუბიძე თითქოს ფილოსოფოს ბერგსონის ინტუიციით აყალიბებს. საამისო არგუმენტები არ გააჩნია, (ყოველ შემთხვევაში მათ არ ასახელებს), მაგრამ გუმანით გრძნობს, რომ ეს ასეა.

ლიტერატურული ქართულისა და ქართველურის, კერძოდ, კოლხურის (ჭანურ-ლაზურ-მეგრულის) მონაცემები, ჩვენი დაკვირვებით, ადასტურებენ შალვა ნუცუბიძის ამ საოცარ ჰიპოთეზას.

პირველი. „წყალი“ სიბრძნის სიმბოლოა კოლხურ მეტყველებაში.

„თავუწყლოა“ ე. ი. „თავში წყალი“ (ჭკუა) არა აქვს, („დუდუწყარეა“), — კოლხური მეტყველების თანახმად, კაცი, რომელიც სიბრძნით არ გამოირჩევა. (სიტყვასიტყვით: „თავუწყლო“ ე. ი. „უჭკუო“, „არა ბრძენი“).

მაშასადამე, კოლხური „წყალი“ სიბრძნესა და სიბრძნისმეტყველებას, შეიძლება ითქვას, თალესის „ფილოსოფიურ წყალს“ უკავშირდება.

მეორე. [illegible] ოცხლის ნიმანწყალი“. ვფიქრობთ, [illegible] თალესის „ფილოსოფიურ წყალთან“ [illegible] პირველსაწყისთან.

მესამე. ქართულად „ენაწყლიანი“ კაცი ორატორია, ფილოსოფოსია, კარგი მოსაუბრეა, ბრძენია.

მეოთხე. გამოთქმა „ღვთის წყალობაც“ გარკვეულ კავშირშია წყლის ამაღლებულ, თეოლოგიურ, თეოსოფიურ, თეოგონიურ გაგებასთან, ფილოსოფიურ არსთან.

• • •

მდინარე ენგურს აფსუურად „ეგრი“, ე. ი. „ეგრისის წყალი“ ჰქვია. აფხაზურში ეს კოლხურიდან ნასესხები სიტყვა „ეგრი“, შუმერული წყლის ღმერთი „ენ-გური“, ქართული ლიტერატურული „ენგური“ და ქართველური (კოლხური) „ინგრი“ — ყველაფერი უკავშირდება თალესის „წყალს“, „იგრ-ონს“ რომ უწოდებს არისტოტელე. და ყოველივე ამას საფუძველი კოლხეთში უდევს, „ენგურ-ეგრი-ი(ნ)გრ“ — იგრის უკავშირდება.

ქართული სიტყვები გრიგოლ ორბელიანის „მ-ეგრ-ი“ და „ქართლის ცხოვრების“ „მ-ეგრ-ელ-ი“ ეფუძნება „ეგრ“ ფუძეს, ანუ იმავ „იგრ“-ს, რომელიც თალესის „ფილოსოფიურ წყალთან“ — ქვეყნისა და სიცოცხლის პირველსაწყისთან „იგრ-ონ“-თან არის უშუალო ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ კავშირში. ამ ცხადზე უცხადეს ქართულ და ქართველურ სამყაროს თავის საკუთრებად აცხადებენ, უტიფრად ეპატრონებიან ბოროტი ნების აფსუები და ჩეჩნები, ველური მთიდან ბარში ჩამოსახლებული ვანდალები...

ამ საოცარ ფილოსოფიურ საწყისთა სამყაროს ეპოტინებიან აფხაზი სეპარატისტები და ხმის გამცემი არავინ არის...

IX. ვაჟას დაჭრილი არწივის სევდა...

გაღმა ჩანს ჩემი სოფელი. ჩემს მამა-პაპისეულ სახლ-კარში უცხო თესლი, ვიღაც გადამთიელი, ველური ბანდიტი ჩასახლდა და [illegible] პაშებს. ვენახი აიღო, სახლი გადაწვა. მას არც „ენგურის ფილოსოფია“ აინტერესებს და არც საქართველო.

ჩემს აკვანს კაენის ლანდი ეცემა... ჩემს მამა-პაპათა საფლავებზე ველურები ცეკვავენ...

დღეს საქართველო კვლავ ვაჟას დაჭრილ არწივს ჰგავს...

საქართველოს პრომეთეს მარადიული, შეუხორცებელი ჭრილობიდან ისევ სდის სისხლი... ის სისხლი სდის 300 ათას ლტოლვილს.

მე ვიცი, რომ „ენგურის ფილოსოფიაზე“ საუბარი ქართველოფობიით შეპყრობილ აფსუა სეპარატისტებთან მგლის თავზე სახარების კითხვაა. მაგრამ არსებობს სხვა აფხაზეთი, ნორმალურ აფხაზთა და აფსუათა ქვეყანა, რომელთანაც ჩვენ, ქართველები, კონფლიქტის დაძლევის შემდეგ, კვლავ აღვადგენთ კონსენსუსს და მეგობრობას.

ჩვენ მატერიალურად ღატაკები ვართ დღეს, მაგრამ დღევანდელობის ფილოსოფიური, სულიერი სიღატაკე უფრო მაშინებს.

მტრობისა და სევდის ნაპირებს შორის მიედინება ჩემს თვალწინ „მსოფლიოში ყველაზე ფილოსოფიური მდინარე“ — ენგური...

გავყურებ გაღმა ნაპირს. მაფიქრებს მეუფება ბნელის...

იქ არის ქვეყნის დასალიერი. მეფობს სატანა და სალიერი...

მაგრამ გვწამს, რომ აღმოხდების მზე...

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

1995 წლის იანვარი.

პორტრეტი ილიას ხატითურთ

19 სანთელი... ანუ სცენის დედოფლის ნატვრა!..

...ვიდრე ვიტყოდეთ, თუ რას ნიშნავს რიცხვი 19 ჩვენი ძვირფასი ხელოვანი ქალის ზინა კვერენჩხილაძისათვის, ამ საახალწლო პორტრეტს მცირეოდენ პროლოგს წარვუმძღვარებ.!

...საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ კულისებში თამამად გავიდა, რადგან ეს პატარა სცენა მისთვის კარგახანია ნაცნობია და რაკი იქ დახვდა ხუთი წლის წინანდელი რეკვიზიტი: სკამი თუ მაგიდა, სუფრა, ტანსაცმელიც კი, კარიქას იასამნისფერი კაბა, ყველაფერს ისე ეფერებოდა, როგორც ცოცხალ არსებებს — ეს თეატრიდან ჩემი ხელით წამოვიღო, თქვა სამფეხა სკამზე, ეს აქედანო (რუსთაველიდანო), ეს იქიდანო (მოზარდიდანო); ფარდაც მისი ნახელავია — გული ეტკინა ჩაქარაბაკებული რომ დახვდა...

ერთხელაც ავტობუსი გაფუჭებულა, და თოვლში მუხლებამდე უკვალევია გზა სოფელ განთიადამდე...

ახლაც თოვლში ვეწვიეთ დმანისს მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე და მე ბატონ ჯუმბერ კოპალიანის წყალობით, რომელიც დმანისის ნაქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია და ამავ დროს, ამ ხუთი წლის წინათ დმანისში დაარსებული ექსპერიმენტული თეატრ-სტუდიის „ქვემო ქართლის“ დირექტორი.

...ეს თეატრი ქალბატონ ზინა კვერენჩხილაძეს თავის პირმშოდ მიაჩნია და ასეც არის: — მისი გასაკვირველი მცდელობა და წადილი რომ არა, იმ დღეებს, რასაც თეატრალური ზეიმი ჰქვია, დმანისელები, ალბათ, ვერ შეესწრებოდნენ.

საქართველოს სახალხო არტისტი ზინა კვერენჩხილაძე ამ თეატრის მთავარი რეჟისორია!

თეატრის ახალი შენობა კი დგას დმანისის შუაგულში, მაგრამ ისე გაუძარცვავთ და შეურყვნიათ, კიდევ კარგახანი დასჭირდება მის „გათეატრებას“. — ისევ განთიადის კლუბი შეასრულებს, ჯერჯერობით, წინანდებურად ამ მთავარ როლს. აქ აიხადა პირველად თეატრ-სტუდიის ფარდა, აქ გაიმართა ილიას ნაწარმოებების მიხედვით თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული კომპოზიციის — „ჩემო კალამოს“ პრემიერა 1990 წლის 19 იანვარს!.

...და სპექტაკლის დაწყებისას 19 სანთელი აინთო ილიას ხატების წინ!

ნათლისღების იმ წმინდა დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა ეროვნული თეატრის ახალი კერა ძველისძველ ქართულ მიწა-წყალზე.

1995 წლის 19 იანვარს ხელახლა გაიხსნება ეს ფარდა, კვლავ გაცოცხლდებიან ამ პატარა, განთიადურ სცენაზე ილიას გმირები 3-წლიანი „შესვენების“ შემდეგ, რაც საერთო დამაბულობის შედეგი იყო.

დღეს უკვე შეიძლებოდა ზრუნვა ჩანავლული კერის გაღვივებისათვის და სწორედ ამიტომ, დათქმულ დღეს, თოვის მიუხედავად, ბატონმა ჯუმბერ კოპალიანმა ჩვენთან ერთად აიღო გზა დმანისისაკენ. იმ პირველი თოვლივით მოულოდნელი იყო რაიონის ხელმძღვანელობისათვის თბილისელების სტუმრობა, მაგრამ ყურადღებით მოისმინა გამგებელმა ოთარ ასლანიშვილმა ყოველივე, მზა საქმიანი ქაღალდებიც წინ დაუდო დირექტორმა მას და კულტურის განყოფილების გამგეს აკაკი დაუთაშვილს იმ პირობით, რომ თეატრის განახლების საკითხი მათი უახლოესი მსჯელობის საგანი გახდებოდა. მართლაც, ასე მოხდა!

ერთი სიამოვნებაა მაშინდელი რეპეტიციების ჩანაწერების თვალის გადავლება და სასიხარულო, რომ მატიანე „ქვემო ქართლის“ თეატრისა, რომელიც დაიწყო ზინა კვერენჩხილაძისავე კალმით, გაგრძელდება...

თეატრის არსი გამოცანაა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ახლანდელი მომენტი“. — „ახლანდელი მომენტი“ საოცარი რამაა, — ბრძანებს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორი პიტერ ბრუკი; — როცა ეს „მომენტი“ ნაწილაკებად იხლიჩება, მისი უსასრულო ნამცეცები მთელ სამყაროს შეიცავენ“...

ასეა, მთელი სამყაროა თეატრი მსახიობის, რეჟისორის, მხატვრისათვის, ერთი სიტყვით, თეატრისათვის დაბადებული ადამიანისათვის! ასეთ ადამიანთან ყოველი შეხვედრა ხელახალ აღმოჩენას უდრის! საკმარისია იმის ნახვაც, თუ რა სათუთად ინახავს ხელოვანი ქალი თეატრის რეპერტუარს — თავის ხელით გადაწერილ პიესებს: ილიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ კომპოზიციას „ჩემო კალამოს“, ავქსენტი ცაგარლის „ჭკუისა მჯირს“, დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირს“. აფიშებს, პროგრამას მონაწილეთა ავტოგრაფებით („ილია ვარ!“). სიყვარული?! ეს უზენაესი სიტყვაც კი ვერ გამოხატავს სრულად იმ სათქმელს, რაც მინდა გადმოგცეთ ზინა კვერენჩხილაძესთან შეხვედრებისა და საუბრების შედეგად!

თავიდან დავიწყოთ: 1990 წლის 19 იანვარი! დიახ, ეს „ქვემო ქართლის თეატრის“ დაბადების დღეა! და აგერ, 5 წლისთავზე, იმავ თვესა და იმავ რიცხვში — ანუ ნათლისღების დღეს, კვლავ აღორძინდება თეატრი, რომელმაც 1990-91 წლებში უდიდესი სიხარული აჩუქა არა მარტო დმანისისა და ბოლნისის, გნებავთ მარნეულის მკვიდრთ, არამედ თეატრალური ხელოვნების ყველა წრფელ თაყვანისმცემელსა და გულშემატკივარს.

პირველი პრემიერა რომ განთიადში გაიმართა, ესეც სიმბოლურია. ნუსხაც ზინას ხელით არის შედგენილი, 1990 წლის 19 იანვარს. მეორე გახლდათ აპრილში „ილია ვარ“, (თ. ჩხეიძე, თ. გოდერძიშვილი) და მოიარეს თეატრი წყარო, მარაბდა, მარნეული, მალე იგი იხილეს ბოლნისელებმა და თელაველებმაც (ივნისი-ივლისი). იმავ 90-ში გაიმართა განთიადური პრემიერები: „ჭკუისა მჯირს“, (გომარეთი, წერეთელი), ხოლო 91 წლის 19 იანვარი კვლავ ახალი სპექტაკლის დაბადებით აღინიშნა: ეს იყო შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“, მას დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ მოჰყვა (29-30 ივლისს).

მემატიანის სიფაქიზითაა აქვს შენახული რვეულები: „დმანისის ქართული დრამატული თეატრი — „ქვემო ქართლი“, „ფაქტები და შთაბეჭდილებები“.

...19 სანთელი დაინთო ნათლისღების იმ ბედნიერ დღეს „წმინდაო ღმერთო“ საგალობლის ფონზე სცენის სიღრმეში დაკიდებულ ილიას პორტრეტთან. ავანსცენიდან გაისმა სამი მანდილოსნის ხმა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამაპაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას!“ შეგონებანი თეატრზე: „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის აღმზრდელი უნდა იყოს“...

— ჩვენი ღრმა რწმენით, დმანისის თეატრის სცენაზე პირველ სპექტაკლად და პირველ წარმოთქმულ სიტყვად ილიას სიტყვა უნდა ყოფილიყო, ვითარცა ლოცვა ღვთისა...

ახლა მონაწილენიც ჩამოვთვალოთ და უფრო გაცხადდება ზემოქმედების ძალა, რაც პირველმა განთიადურმა პრემიერამ მოახდინა:

გიორგი გეგეჭკორი და გიორგი ხარაბაძე („მგზავრის წერილები“), აკაკი ხიდაშელი, რომელიც კითხულობდა მოთხრობას „სარჩობელაზედ“, ანსამბლი „ფაზისი“ — ჯუმბერ ყოლბაიას ლოტბარობით, იდგა ზინა კვერენჩხილაძე ლოცვად მეწამული ვარდებითურთ; „დედავ ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრიაო“ და ფინალში ფაზისელთა „ჩემო კარგო ქვეყანას“ მთელი დარბაზი აჰყვა!.

— აი, მართლაც, იგრძნო ყველამ თეატრის უდიდესი ზემოქმედების ძალა, თეატრისა, რომელზეც ილია ბრძანებდა: „თეატრი ის ადგილია, სადაც ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთო“. აკი ვინაღვლეთ, მაგრამ მომავლის იმედით გაცისკროვნებულებმა მოვილხინეთ კიდეც.

ამავე სპექტაკლის მშვენება იყო პოემა „განდეგილი“. — ცოცხალი სურათივით ჩამჯდარი შუაგულში, ახალგაზრდა მსახიობების მიერ წრფელად გათამაშებული.

...მათ იგრძნეს, იწამეს, რომ საქართველოს ამ კუთხეში, სადაც არასოდეს ყოფილა თეატრი, იგი საჭირო გამოდგა, როგორც წყალი და ჰაერი, როგორც სულიერი საზრდო მრევლისა, რომ ის 19 სანთელი არ უნდა ჩაქრეს!

და ამ პირველი ხნულის, პირველი სიხარულის შემდეგ დაიწყო ფიქრი სამომავლო რეპერტუარზე, თეატრის სიცოცხლე რომ უნდა გაეგრძელებინა და მომავალი თაობის აღზრდაშიც მთავარი როლი შეესრულებინა!

...ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდო, წუხდა ილია და სწორედ მისებური საუბარი, დარბაისლური ქართული — მთელი სიმდიდრე, საამური მიხრა-მოხრა ქართული სიტყვიერებისა, ხიბლავდა დამსწრეთ.

„ქართული სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარი ყვავილისათვის“, — ეს ათქმევინა ერის ჭირისუფალს მშობლიური ენისადმი მაღალი საზოგადოების, ნამეტნავად ქალაქელების გულგრილობამ და მისი მშვენიერების გადავიწყებამ.

პროლოგის შემდეგ ილიას სიტყვებს: ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვთხოვთ: პირველი, რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი გულისა და სულისა და მეორე — იგი უნდა იქცეს იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზე უნდა წამოდგეს მთელის თავისი მშვენებითა და სიმდიდრითა, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ — მოსდევდა მისივე „ყვარლის მთებს“, — „ბატონი სერგო — ფონოგრამა“ — მკაფიო ხელრთვით ჩაუწერია ზინას პიესის მისეულ, სარეჟისორო ეგზემპლარში, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება ილიას პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა და რომელსაც დაენათლა სერგო ზაქარიაძის ხმაც.

...და ისევ ილიას სიტყვით გაცოცხლდება „ქვემო ქართლის თეატრ-სტუდიის“ დევნოზაშვილების, ციხელაშვილების, დაუთაშვილების მხარეში, ისევ დადგება ლოცვად წინაშე ილიას ხატისა ზინა კვერენჩხილაძე და აღავლენს ვედრებას ქართლის საკეთილდღეოდ.

....ეს იყო ბოლო წლებში მისი ყველაზე დიდი ნატვრა და აუხდა კიდეც!

...ნეტამც თქვენ დაგვიბრუნდებოდეთო, ნატრობდნენ დმანისელებიც.

...მადლი უფალს!...

ნანა ღვინეფაძე.

სურათზე: სცენაზე ზინა კვერენჩხილაძე.

თამაზ ბიბილურის ფოტო.

ინფორმაცია

კუპონის კურსის განმტკიცების ტენდენცია გრძელდება

საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონის კურსის განმტკიცების ტენდენცია გრძელდება. 10 იანვარს თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე გამართულ ვაჭრობაზე ერთი ამერიკული დოლარის კურსმა შეადგინა 1,260 ათასი კუპონი, რაც 20 ათასით ნაკლებია, ვიდრე აღინიშნა წინა ოთხშაბათს გამართულ ვაჭრობაზე, ხოლო რუსული რუბლის კურსი შემცირდა 25 პუნქტით და შეადგინა 295 კუპონი. ვაჭრობაზე გამოტანილი იყო და გაიყიდა 195 ათასი დოლარი და 208 მილიონი რუბლი. ვაჭრობის შედეგების მიხედვით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 11 იანვრიდან დააწესა კუპონის მიმართ უცხოურ ვალუტათა ახალი კურსი.

ბოროტმოქმედი დააკავეს

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევთან სამი დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ართვინის ტურისტული ფირმის კუთვნილ ავტობუსს. თავდამსხმელებმა მგზავრებს წაართვეს პირადი ნივთები და ამერიკული დოლარები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციასა და ბანდიტებს შორის მოხდა შეტაკება. პოლიციელებმა ერთი ბოროტმოქმედი დააკავეს.

გაქურდეს ლაბორატორია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს თბილისში, შავთელის ქუჩა № 12-ში მდებარე ხალხური სუვენირების ლაბორატორია. ქურდებმა გაიტაცეს გობელენები და სპილენძის სუვენირები. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურიდან გვატყობინებენ:

სტატისტიკის მიხედვით, 1993 წლის დანაშაულთა საერთო რაოდენობა 15.765 შეადგენდა. ეს მონაცემი 1994 წელს 2367 ერთეულით შემცირდა. აქედან მძიმე კატეგორიისაა — 22,3 პროცენტით: განზრახ მკვლელობა — 29 პროცენტით, ადამიანის მოტაცება გამოძალვის მიზნით — 56 პროცენტით, ყაჩაღობა — 30 პროცენტით, ძარცვა — 15.5 პროცენტით, სახელმწიფო ქონების ქურდობა — 44 პროცენტით, პირადი ქონების ქურდობა — 1,2 პროცენტით, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება — 48 პროცენტით და ა. შ.

1994 წელს გამოვლინდა 6912 დამნაშავე, ამათგან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 6438, მათ შორის 644 არასრულწლოვანი, 391 ქალი, 223 მოსწავლე.

15.9 პროცენტით გაუმჯობესდა ჩადენილი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი, მათ შორის მძიმე კატეგორიის დანაშაულისა — 16 პროცენტით.

დახმარება — გაჭირვებულთ

ევროთათბირის მისიის მიერ ქ. გორში შეტანილია ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, რომლის საერთო რაოდენობა 40 ტონას უდრის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ფონდი დანიშნულებისამებრ ანაწილებს ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელიც ეკუთვნით ეთნოკონფლიქტის ზონებში დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, დასახიჩრებულ პირთა ოჯახის წევრებს, უდედმამო ბავშვებს. პასუხისმგებელი პირები ცდილობენ, რათა აღნიშნული კატეგორიის ოჯახებიდან არავინ დარჩეს დახმარების გარეშე. უკვე გაცემულია ტვირთის 70 პროცენტზე მეტი.

ქურდები ადგილზე დააკავეს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ზუგდიდში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე ზუგდიდვაჭრობის გასტრონომში პოლიციამ ქურდები იმ დროს დააკავა, როცა ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა სახის სურსათის მოპარვას.

ეს ჩვენი საქართველოა!



ახალი წელი — მზისა და სივრცის. სიკეთისა და სიუხვის ახალი იმედები...

ვარლამ გენზიურისა და თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

იხეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

მაინც რა ჰესების მშენებლობა აუტყდათ?!

როგორც იქნა, ეს კომუნისტური რეჟიმი კი მოვიცილეთ, მაგრამ ზმანებებს რომ ვეღარ გამოვეხსენით?

ამას წინათ დამესიზმრა, ვითომ ცეკაში ვმუშაობდი და ჰესების განყოფილებას განვაგებდი. გაოგნებისგან მთელი დღე პირჯვარს ვიწერდი. სად შე და სად ცეკა, ან ჰესები საიდან მომელანდა?

თუმცა, რა არის გასაკვირი. რადგან ცეკაში ვმუშაობდი, რატომ არ შეიძლებოდა ჰესების განყოფილების გამგეც ვყოფილიყავი? ჩვენი უქნარა კომუნისტები ხომ მთელ 70 წელიწადს აშენებდნენ ჰესებს? ხალხს იმიზეზებდნენ — სიბნელეში ხომ არ იქნებიანო — და ჩეხავდნენ ტყეებს და აშენებდნენ ჰესებს.

ხალხის კუთვნილი ტყეები და მდინარეები რაში ენაღვლებოდათ. ეს ენგურჰესიო, ეს რაიონჰესიო, ეს ლაჯანურჰესიო. აშენებდნენ და აშენებდნენ. იმისიც კი არ მოერიდათ, რომ დედაქალაქს დაანაგვიანებდა, ორთაჭალჰესი შიგ შუა თბილისში წამოგვიჭიმეს.

მაინც, რა ჰესების მშენებლობა აუტყდათ, ჰა?!

უსაქმურები!

ნამდვილი უსინდისოები!

კიდევ კარგი, მწვანეები, ცალკეული გაბედული მეცნიერები და მწერლები გამოესარჩლნენ ბუნებას, თორემ ხუდონჰესის აშენებასაც მოასწრებდნენ და სულმთლად დაგვღუპავდნენ.

ჰესებს ვინ ჩივის, თურმე ატომური ელექტროსადგურის აშენებაც ჰქონდათ ჩაფიქრებული.

არამზადები!

ოღონდ თავიანთი გეგმები („გოელრო") განეხორციელებინათ და ხალხის კეთილდღეობა ფეხებზე ეკიდათ. კეთილდღეობას ვინ ჩივის, რაღაც ერთიან ენერგოსისტემაში ჩაგვრთეს და ლამის დამოუკიდებლობა დაგვაკარგვინეს. კიდევ კარგი, იქიდან დროულად გამოვერთეთ, თორემ ახლა აღარც საკუთარი განათება გვექნებოდა და აღარც საკუთარი ტელევიზორი.

ბუნება ხომ დაგვეღუპებოდა და დაგვეღუპებოდა. წარმოგიდგენიათ, ის გეგმიური ჭრები (რაც სატყეო მეურნეობებს ჰქონდათ დაგეგმილი) რომ განხორციელებულიყო, ტყეები რა დღეში ჩავარდებოდა?

კარგია, რომ ეს ყველაფერი თავიდან მოვიცილეთ. ახლა შეშის დასამზადებლად ბილეთს აღარავინ იღებს. ვისაც როდის მოეპრიანება, მაშინ წავა ტყეში და რომელი ხეც მოეწონება, იმას მოჭრის (აი, ნამდვილი დამოუკიდებლობა).

ასე უნდა. მეტყევეც განთავისუფლდა პასუხისმგებლობისგან და ტყეც გაჩეხვას გადაურჩა. თუ არ გჯერათ, წყნეთში აბრძანდით და ნახეთ ინდივიდუალურმა კაფვამ ტყე როგორ დაამშვენა.

ხოგს წყნეთიც ეშორება და აქვე, თბილისში ქრის ნარგავებს. რა თქმა უნდა, ესეც ტყის შელავათია. მთავარია, დაგეგმილი ჭრები ავკრძალოთ, თორემ ინდივიდუალური, უთავბოლო კაფვა ტყეებს ნირსაც ვერ შეაცვლევინებს.

და თუ მაინც გაჭირდა, ჩვენი ბუნების ქომაგები აქ არ არიან? — უცებ გაიჭრებიან ტყე-ველად და ყველაფერს წამში გადაამწვანებენ.

მაგათაც რა, ჰესების მშენებლობა შეაფერხებთ?!

ოთარ ხუციშვილი.

საჩქაროდ იყიდება
ძალზე დაბალ ფასებში
მაღალი ხარისხის ირანული
წარმოების ხალები და ფარდები.
შეძენა შეიძლება ცალობით და
თოფობით
მისამართი:
ქ. თბილისი, კოტეტიშვილის შეს. №2.

ხიდები

მართლაც, სიყვარულო, ძალსა შენსა...

თბილისში ჭორის მორიგი ტალღა აგორდა — თურქული სკოლა გაიხსნა და ქართველ ბავშვებს ყურანს ასწავლიანო. ბევრმა შორსმჭვრეტელმა ეს მოვლენა დიდ პოლიტიკას დაუკავშირა.

თბილისში სულეიმან დემირელის სახელობის ინგლისურენოვანი კერძო კოლეჯის ბალავარი კი ორ ქვეყანას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების გარდა 26 წლის თურქი ბიზნესმენის, ფირმა — „ჩაღლარ ეითიმ შირქეთის" პრეზიდენტის ჰაიათ ქუჩუქის სიყვარული გახლდათ.

დიახ, ხაშურელმა თამარ ცუცქირიძემ შეძლო ჰაიათისა და მისი ახლობლებისთვის ეჩვენებინა ქართველი ქალის ნამდვილი სახე, რომელიც, სამწუხაროდ (როგორც თვითონ ჰაიათი ამბობს) უკანასკნელ ხანს ძალზე დაიჩრდილა. თამუნამ და ჰაიათმა ლამაზი ოჯახი შექმნეს და თავიანთ პირმშოს — პატარა ესრას თურქულ კერასთან ქართულად აადგმევინეს ენა. სამ წელიწადში მეუღლის სიყვარულით ჰაიათმა ქართულიც შეისწავლა და (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) თამუნას სამშობლოში ბიზნესი „უკუღმა" დაიწყო — ჯერ საქართველო შეიყვარა და საქველმოქმედო საქმიანობას მიჰყო ხელი: განათლების სამინისტროს 24 ათასი ამერიკული დოლარი გადასცა. დააფინანსა შარშან იუნესკოს კონფერენციის მუშაობაში მონაწილე საქართველოს დელეგაცია და მოსწავლეთა გუნდი, რომელმაც სტამბულის საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მისი ხარჯებით კოლეჯის 62 მოსწავლემ არდადეგები თურქეთში გაატარა. წლეულს, საქართველოს 3 ათასი ტონა ხორბალი საჩუქრად გადმოსცა. მკვირცხლი, გონებაგახსნილი, ქართველ მეუღლესა და მის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ჰაიათი გატაცებით საუბრობს ორი ქვეყნის კეთილმეზობლობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე.

— ჩვენი ხალხების ისტორიას არ ახსოვს ისეთი მეგობრობა, როგორიც შევარდნაძესა და დემირელს აქვთ. ჰოდა, მეც მინდა, ჩვენს ქვეყნებს შორის ისეთი მტკიცე, სამარადჟამო ხიდი გაიდოს, რომ არასოდეს ჩატყდეს. თუ გსურს მეგობარი გყავდეს, მისთვის უნდა გაისარჯო, ასე არ არის? ამიტომაც დავაარსე კოლეჯი, სადაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური პედაგოგები (ძირითადად ქართველები, ინგლისურის პედაგოგებად თურქეთში მცხოვრები ქართველები მოვიწვიე), სერვისი სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის საშუალებას იძლევა. კოლეჯში ისწავლება რელიგიების (და არა რომელიმე რელიგიის) ისტორია. მითქმა-მოთქმა ალბათ ამან გამოიწვია.

— საქართველოში თქვენი მოღვაწეობა ალბათ, კოლეჯის დაარსებით არ ამოიწურება. ისევ განათლებაზე შეაჩერებთ ყურადღებას თუ თქვენი ბიზნეს-პროგრამა სხვა სფეროში ამოქმედდება?

— კარგა ხანია, ვთანამშრომლობ ფირმა „მარსთან", რომლის პრეზიდენტია ნურეთთინ ვერინი. მისი იდეა იყო უკრაინასა და ყაზახეთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსება. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც გაუჩნდათ ეს სურვილი. მე კი საქართველო ვირჩიე. ბედნიერი ვარ, რომ თამუნას სამშობლო ნურეთთინ ვერინსაც გავაცანი, იგი თბილისში ჩამოვიყვანე და საერთაშორისო უნივერსიტეტის დასაფუძნებლად პირველი ნაბიჯიც წარმატებით გადაიდგა. საქართველოს მთავრობამ მხარი დაგვიჭირა და ორმხრივ სასარგებლო საქმისათვის ეს ბევრს ნიშნავს. მე თანამედროვე ეპოქის შვილი ვარ, ახლებურად მოაზროვნე ადამიანებთან მსურს თანამშრომლობა. ბორკილაყრილ საქართველოს დღეს უჭირს და მას თანადგომა სჭირდება. რაკი ქართველთა სიძე ვარ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ამ გაჭირვების ჟამს მისი ახალგაზრდობის აღზრდაში მცირეოდენი წვლილი შევიტანო, განათლებისა და კულტურის ის დიდი პოტენციალი, რაც მადლიან მიწაზე უხვად არის თავმოყრილი, ჩემს ქვეყანასაც გავაცნო და სხვა ქვეყნებსაც. ჩემი აზრით, სიკეთე ყველაზე დიდი ბიზნესია. სიკეთე ყველაზე დიდ მოგებას მოგიტანს.

ლეილა კოშკაძე.

ფინალში ითამაშებენ...

საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში დასასრულს მიუახლოვდა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება ფეხბურთში.

წინასწარი ეტაპის დასკვნით ტურში არგენტინამ ფრედ ითამაშა ნიგერიასთან 0:0, ხოლო დანიამ პენალტების სერიით 4:2 (ძირითადი დრო 1:1) სძლია მექსიკას.

ამრიგად, ტურნირის ფინალში გავიდნენ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ჩემპიონები — არგენტინისა და დანიის გუნდები.

ავტომარათონი მთავრდება

დღეს სენეგალში მთავრდება პრესტიჟული ავტომარათონი „პარიზი-დაკარი". ფინიშამდე 1800 კილომეტრით ადრე ლიდერობდნენ: მსუბუქი ავტომობილებით — პიერ ლარტიგი (საფრანგეთი, „სიტროენი"), სატვირთო — ვიქტორ მოსკოვსკიხი (რუსეთი, „კამაზი"), მოტოციკლეტებით წინაა ხორდი არკანსორი (ესპანეთი, „იამაჰა").

ჩემპიონატი გაიმართება!

ხანგრძლივი დავის შემდეგ, პროფესიონალ ჰოკეისტთა ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი ოთხთვიანი დაგვიანებით დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ტურნირი ჩაშლის პირას სპორტსმენთა და ორგანიზატორთა უთანხმოებით იყო მისული.

სპორტული წლის ლაურეატები

აშშ-ს 1994 წლის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელებულნი არიან მოციგურავენი, ოლიმპიური ჩემპიონები ბონი ბლეირი (ქალებში) და დენ ჯენსენი.

ევროპის გასული წლის უძლიერეს მძლეოსნებად მიჩნეულნი არიან ირინა პრივალოვა (რუსეთი) და კოლინ ჯექსონი (ინგლისი).

1995—

ღორის (ტახის)

წელიწადი



1994 აღმოსავლური კალენდრით ძაღლის წელიწადი იყო, ახალი, 1995 კი — ღორის (ტახის) წელიწადია.

მცირე ექსკურსი კულტურის ისტორიაში.

ველური სახით ფართოდ გავრცელებული და ადვილად მოსათვინიერებელი ღორი პოლიფილეტური წარმოშობისაა. მისი კერები არის აღმოსავლეთ, შუა და დასავლეთ აზიაში, ინდოეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. ადამიანის მიერ მოშინაურებული პირველი ცხოველი არის ძაღლი. მეორე ადგილზე კი იმყოფება ღორი და თხა. ზოგიერთი მკვლევარი ამ მხრივ პირველობას ღორს ანიჭებს. ზოგ ადგილებში ღორი ადრე ნეოლითში ჩნდება. შვეიცარიის უძველეს ხიმინჯიან დასახლებაში ძაღლის შემდეგ უძველეს შინაურ ცხოველად აღმოჩნდა ღორი.

გარეული ღორი (ეშვი, ტახი) შინაური ღორის ერთ-ერთი წინაპარია. იგი აღმოსავლეთში იყო წყვდიადისა და ნგრევის სიმბოლო, ზოგან ასახიერებდა მიწისმხვნელ ძალას ან ქარიშხალს, ან საგაზაფხულო ბუნების შემოქმედ ძალას. იგი დაკავშირებული იყო სამეურნეო წლის ბრუნვასა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ცერემონიალთან. მაგალითად, ჩვენი სახალხო „ბერიკაობის" მთავარი პერსონაჟები არიან ბერიკა, დათო და ღორი. აქ, ღორის ნიღაბს სხვა ნიღბებთან ერთად, გარკვეული აზრი ეძლევა. მსგავსი ანალოგიები სხვადასხვა ხალხებშიც აღინიშნება.

ძველ ბერძენთა მიწათმოქმედების ღმერთი დემეტრა და ქვესკნელის სტიქიურ ძალთა განსახიერება — ტიფონი წარმოდგენილი ჰყავდათ ღორის სახით. ლეგენდის მიხედვით, მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებული ბუნების განსახიერება — ადონისი (ფინიკიელთა ღვთაების ბერძნული სახელწოდება) ნადირობისას დაგლიჯა გარეულმა ტახმა და მისი სისხლის წვეთებისაგან ვარდები აღმოცენდა. სკანდინავიის მითოლოგიაში არის ოქროს ჯავრიანი ღორი. ღორს თაყვანს სცემდნენ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში (ჰომეროსის დროს). ღორი, ისევე როგორც ცხვარი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იტალიელთა რიტუალებში. ღორს სხვა ცხოველებზე მაღლა აყენებდნენ შუმერები. იგი იყო შესაწირი ცხოველი. ჩინეთში ათამდე ძროხასა და ღორს კლავდნენ ცის ღმერთებისათვის შესაწირად, ღორის ხორცს საკვებად იყენებდა მრავალი ხალხი, განსაკუთრებით შუმერები. ღორი სადღესასწაულო კერძია გერმანელებში, ავსტრიელებში და სხვა.

ქართველისათვის უღორისხოროდ შობის აღნიშვნა ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც აღდგომა უწითელკვერცხოდ. საახალწლო ტაბლაზე (საკალანდო) საპატიო ადგილი ეჭირა ღორისთავს, რომლის კულტი დაკავშირებული იყო ახალი წლის ღვთაების თაყვანისცემასთან.

შვეციაში საშობაოდ აცხობდნენ ღორის გამოსახულებიან ფუნთუშებს, ეს ჩვეულება ძალზე ძველი წარმოშობისაა, იგი ფეტიშიზმის გადმონაშთია.

ღორის ხორცს არ ჭამენ მუსულმანები, ებრაელები.

ღორი წმინდა ცხოველად ითვლებოდა ჩვენში. ს. მაკალათიას მოსაზრებით, სამეგრელოში გავრცელებული იყო მუზის თაყვანისცემა და ღორი წმინდა ცხოველად ითვლებოდა (იგი ეკვებებოდა რქოთი). მისი ხელის ხლება სასტიკად აკრძალული უნდა ყოფილიყო. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ღორს მზის ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმართული წესები შეიცვალა. ღორზე დადებული ტაბუ თანდათანობით მოისპო და მისი ხორცის ჭამა ქრისტიანებისათვის ნებადართული შეიქმნა.

სასტიკად ეშინოდათ ღორის ხორცის ჭამა კარიბებს. მათი ცრურწმენით თვალები შეიძლება ღორის თვალებივით დაპატარავებოდათ. მაიას ტომის, კომის, რუსების, ბელარუსებისა და სხვა ხალხთა ცრურწმენით ჯადოქრებს შეეძლოთ მიეღოთ ღორის ან გოჭის სახე.

მთელი რიგ ხალხებში, მათ შორის ჩვენში, ღორის ხორცი და გოჭი ნუგბარი საკვებია. ჰაველთა მთავარი საჭმელი ღორის, ქათმისა და ძაღლის ხორცია. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ღორი კუნძულ ნუკაგივაზე (მარკიზის კუნძულები), ტაიტიზე და სხვაგან. ტაიტიზე ღორებს ანებივრებდნენ, ისინი გოჭებს საკუთარი ძუძუებით კვებავდნენ (რატცელი, გოლოვნინი და სხვა).

განსაკუთრებულ როლს თამაშობს ღორი ენგას ტომში (ახალი გვინეა). დანიელ მოგზაურსა და მკვლევარს იენს ბიერეს ეს ამბავი დაწვრილებით აქვს აღწერილი. აქ ყველაზე მეტად ფასობს ქალი და ერთადერთი შინაური ცხოველი — ღორი. კაცს რაც მეტი ჰყავს ქალი და ღორი, მეტი პატივისცემით სარგებლობს.

გ. მელიქიშვილის აზრით, ღორის სახელი ქართული ლექსიკის უძველესი საკუთრება უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ქართულისა და მეგრულ-ჭანურის დიფერენციამდელ ფონდს ეკუთვნის: ქართულ „ღორს" მეგრულ-ჭანურში კანონზომიერი „ღეჯი" შეესატყვება.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირს ადრე ერქვა ჯოღეჯიახი. ეს ადგილი წინათ მდიდარი ყოფილა ტყეებით, სადაც მრავლად იყო გარეული ღორი. ზემო აჭარაში არის სოფელი ღორჯომი. ამის თაობაზე თედო სახოკია თავის „მოგზაურობაში" აღნიშნავს: „აქ ადრე, ქრისტიანობის დროს ღორებიც ბევრი ჰყოლიათ, და, როგორც მითხრეს, თვით სახელი „ღორჯომი" ამ სოფელს „ღორის ჯოგისაგან" დაერქვაო". ღორის სახელთან არის დაკავშირებული მდინარე (სალორისხევი) ახმეტის რაიონში, მთა (ღორისნამკალი) ხაშურის რაიონში და სხვ.

ეთნოგრაფების ქ. კახიანისა და ა. სოხაძის მიერ მოძიებული დიდძალი მასალები მეტყველებენ იმაზე, რომ საქართველოს მთელ რიგ რეგიონში შემორჩა მაგიური წეს-ჩვეულებები, რომლებიც გარეულ ღორს უკავშირდება. მაგალითად, აკვანზე შებმული ღორის დინგი ბავშვს იცავდა ავი ქარისაგან. ქართლში, ღორის კბილი ადამიანს იცავდა ავი თვალისა და სულისაგან (რაჭა, თუშეთი); ღორის ნაწილების მაგიური დანიშნულება დამოწმებულია სამეგრელოში, სვანეთში. ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს პირვანდელი რელიგიური წარმოდგენები ღორის ნაწილებზე მაშინ უნდა იყოს შემუშავებული, როცა ღორი ნადირობის ობიექტი გახდა, რაც მის მოშინაურებას ბევრად წინ უსწრებს.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ ჩვენი საუკუნის ბოლო წლები აღმოსავლური ჰოროსკოპით ასე აღინიშნება: 1996 — თაგვისა, 1997 —ხარისა, 1998 — ვეფხვისა, 1999—კურდღლისა და 2000— ურჩხულისა...

სულიკო ნუცუბიძე.

მხატვარი ნიკო ფიროსმანი.

ხსოვნა

ელგუჯა მახოშვილი

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან დიდი სიკეთითა და [illegible] მოსიყვარულე, შესანიშნავი ქართველი კაცი ელგუჯა მახოშვილი. თანამშრომლები მას ხშირად ვიგონებთ, როგორც წესიერ, პატიოსან, მოკრძალებულ, უწყინარ პიროვნებას.

ბატონი ელგუჯა გულისხმიერებითა და კაცთმოყვარეობით, თავისი საქმის ცოდნითა და ერთგულებით გამოირჩეოდა.

შენი მოულოდნელი სიკვდილი ჩვენთვის, ისევე როგორც შენი ოჯახისა და ახლობლებისათვის, იმდენად თავზარდამცემი და დაუჯერებელი იყო, რომ დღესაც ისეთი შეგრძნება გვაქვს, სადღაც ხარ, კარებს შემოგვიღებ მხიარული, ლაღი, ბედნიერი სახით. ვაი, რომ ასე არ არის.

ჩვენო გუჯა! ორმოცი დღე გავიდა, რაც აღარ ხარ შენს ტკბილ და ლამაზ ცოლშვილთან, ახლობლებთან, მეგობრებთან, ჩვენთან. გემშვიდობებით, ნათელი დაადგეს შენს სულს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური.

კარლო ჭელიძე

გარდაიცვალა საქართველოს მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა სასწავლო-სამეცნიერო დარგთაშორისი ინსტიტუტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი კარლო სიმონის ძე ჭელიძე.

დაიბადა 1929 წელს, გლეხის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში ეწეოდა შრომით საქმიანობას. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა განათლების დარგში. ოცდახამი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილედ. შემდგომში, გარდაცვალებამდე, იყო საქართველოს მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა სასწავლო-სამეცნიერო დარგთაშორისი ინსტიტუტის რექტორი, რომელიც უშუალოდ მისი ინიციატივით დაარსდა.

ბატონი კარლო ჭელიძე იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორი. გულისხმიერი ადამიანი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. სწორედ ასეთად დარჩება ბატონი კარლო ჭელიძე კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

„წმინდა თამარ მეფის ორდენი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში მონარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, სამოქალაქო სამართლის გაერთიანების (უნიფიკაციის) საერთაშორისო ინსტიტუტის წევრი და ამავე ორგანიზაციის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში, „წმინდა თამარ მეფის ორდენის" იურიდიული სამსახურის უფროსი, კოლეგიის წევრი, იურისტი

ვასილ კიმის ძე არეშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„წმინდა თამარ მეფის ორდენის" უზენაესი კოლეგია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ღვაწლმოსილ მუშაკს ალექსანდრა არეშიძეს ძმისშვილის

ვასილ კიმის ძე არეშიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტი სამძიმარს უცხადებს პარლამენტის წევრს ვახტანგ ხმალაძეს დედის

თამარ თუმანიშვილი-ხმალაძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 14 იანვარს 1 საათზე. რ. თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძის) ქ. 25.

საქართველოს პარლამენტის აპარატი სამძიმარს უცხადებს პარლამენტის წევრს ვახტანგ ხმალაძეს დედის

თამარ თუმანიშვილი-ხმალაძის

გარდაცვალების გამო.

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქეთა მონაცემებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე.

1. მახმედ მოსას ძე ასპანანი, დაბადებული 1933 წლის 22 ნოემბერს, ირანში, ფარიდანის რაიონის სოფ. ასურე-ოლია, მცხ. ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მე-2 მ/რ. კორპ. 2, ბინა № 16-ში.
2. ჟანა ხევზოლას ასული ასპანანი, დაბადებული 1941 წლის 23 მაისს, ირანში, ფარიდანის რაიონში, მცხ. ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, მე-2 მ/რ. კორპ. 2, ბინა № 16-ში.
3. თადეუშ მარტინის ძე ქმუცკი, დაბადებული 1936 წლის 18 თებერვალს, უკრაინაში, ვინიცის ოლქი, კომკავშირის რაიონი, სოფ. გლუხოვცი, მცხ. ქ. რუსთავი, ჩერკასკის ქ. I კორპ. ბინა 36-ში.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს ქონებრივი ვალდებულებანი ან შეუსრულებელი მოვალეობები, ვთხოვთ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელშეკრულება, სასამართლო გადაწყვეტილება, სააღსრულებლო ფურცელი და სხვა.

მისამართი: 380092, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 30, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო: ტელ:. 996798, 990844, 990528, 934291.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 13 იანვრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	964, 782. 5I	კუპონი
ავსტრიული შილინგი	II6, 457. 33	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	I, 965, 977. 49	კუპონი
I0 ბელგიური ფრანკი	397, 663. 48	კუპონი
გერმანული მარკა	8I9, 244. 86	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	730, 8I7. 00	კუპონი
დანიური კრონი	207, 973. I2	კუპონი
I00 იტალიური ლირა	77, 606. 48	კუპონი
კანადური დოლარი	894, 249. 72	კუპონი
ნორვეგიული კრონი	I87, I36. 36	კუპონი
აშშ დოლარი	I, 260, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	263, 729. 39	კუპონი
ფრანგული ფრანკი	237, 063. 64	კუპონი
შვედური კრონი	I68, 479. 5I	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	977, I24. 05	კუპონი
I0 იაპონური იენი	I25, 608. 9I	კუპონი
ეკიუ	I, 55I, 565. 02	კუპონი
I0 ესპანური პესეტა	94, 205. 83	კუპონი
I0 ბერძნული დრაქმა	52, 763. 56	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	I, 945, 565. 83	კუპონი
ისლანდიური კრონი	I8, 354. I7	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4, 2I2, 637. 4I	კუპონი
I0 ლიბანური გირვანქა	7, 662. 02	კუპონი
I0 პორტუგალიური ესკუდო	79, 398. 70	კუპონი
სინგაპურული დოლარი	869, 206. I5	კუპონი
I0 თურქული ლირა	3I6. 28	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	37I, I33. 77	კუპონი
რუსული რუბლი	290. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	268, 6I2. 50	კუპონი
ლატვიური ლატი	I, 946, 468. 40	კუპონი
ესტონური კრონი	87, 324. 80	კუპონი
I00 უკრაინული კარბოვანეცი	742. 40	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	I8, I45. 30	კუპონი
მოლდავეთის ლეი	25I, 2I5. 40	კუპონი
ყირგიზეთის სომი	I0I, 363. 70	კუპონი
I0 ბელორუსიის მანეთი	867. I0	კუპონი
უზბეკეთის სუმი	42, 978. 00	კუპონი
აზერბაიჯანული, მანათი	258. I0	კუპონი
სომხური დრამი	2, 589. 70	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.